ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№ 44
(11 296)

11 – 14 ივნისი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ევრიპელი ფესტივალი: მოულოდნელი და ტრაგიკული შედეგები

ჩეხეთის ნაკრებმა პირველმა გაიანადა „ევრო-2000“-ის ფინალის საგზური

(იხ. მე-5 გვ.)

ევერესტმა მიიჩვია ქართველები

1999 წლის 12 და 26 მაისი ოქროს ასოებით ჩაიწერება არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში. ცხადია, ეს იყო უდიდესი მოვლენა ზოგადქართული სპორტისთვისაც საერთოდ. „ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ 12 მაისს, ბენო ქაშაკაშვილის წინამძღოლობით, ევერესტზე ფეხი შედგა პირველმა ჯგუფმა, რომლის უველა მონაწილე საქართველოს მოქალაქეა. 26 მაისს კი მსოფლიოს ამ უმაღლეს მწერვალზე ავიდა პირველი ქართული ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს ალპინიზმის ფედერაციის პრეზიდენტი, სახელოვანი მთამსვლელი გია თორთლაძე. ეს ასვლა სიმაღლეთმპყრობელებმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავს მიუძღვნეს, ასვლა კი ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს დაემთხვა, რითაც კიდევ უფრო აამაღლა და წარმატების მნიშვნელობა.

გუშინ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე გია თორთლაძემ და ექსპედიციის სხვა წევრებმა უურნალისტებს დაწვრილებით უამბეს ევერესტზე ამასწინანდელი ლაშქრობის პერიპეტიებზე. 11 აპრილს ჯგუფს 5200 მ სიმაღლეზე საბაზო ადგილამდე მიუღწევია, 14 აპრილს კი 6400 მეტრზე დაუციათ მოწინავე ბანაკი. შემდეგ პირველი საიერიშო ბანაკის მომზადებას შესდგომიან 7000 მ. სიმაღლეზე. მერე კიდევ 800 მეტრით ამაღლებულან და ბოლოსწინა საიერიშო ბანაკი 8300 მეტრზე გაუმართავთ. იქვე აუზიდიათ უველა საჭიროველი. გაუთევიათ მძიმე ღამე. ამ მონაკვეთიდან მთელი 200 მ. უაღრესად სახიფათო უინულოვანი კედელი დაუძლევიათ, თანაც ღამით. საღამოს 5 საათზე კი იმავე მანძილით ჩამოქვეითებულან საიერიშო ბანაკამდე და ორი უმძიმესი ღამე გაუტარებიათ კარავში საბოლოო შტურმის წინ. იქაურობა დამთრგუნველი სანახავი იყო, მწვერვალის მისადგომებთან დაღუპულ მთამსვლელთა გვამები იყო მიმოფანტული — თქვა ექსპედიციის ხელმძღვანელმა. იმ დღეებში კი რამდენიმე ჯგუფს დაღუპვია თითო კაცი, ზოგს კიდურები მოუყინვია. ჩვენებს არაერთი ალპინისტისთვის გაუმართავთ ხელი, ეხმარებოდნენ უველას, ღამეც კი გაუთენებიათ მომაკვდავთათვის და გადაურჩენიათ, ტრასიდანაც ჩამოუუვანიათ ბანაკში სასიკვდილოდ განწირული ადამიანი. ექიმი კი იმ პერიოდში ქართველების გარდა, განსაკუთრებით 5.000 მ. სიმაღლის ზევით, არავის ჰყოლია და დიდი ჯაფა დადგომია ზურაბ ასტახიშვილს.

ექიმს ზურაბ ასტახიშვილს და გელა ოთარაშვილს.

● *რა განცდა დაგეუფლათ მწვერვალზე?*

— პირადად მე იმაზე ვფიქრობდი, უუანგბადოდ არ დავრჩენილიუავი და ჯგუფი მშვიდობიანად დაშვებულიუო. როცა ასეთი სიმაღლე შენს ფეხქვეშაა, სიტუვებით არ გადმოიცემა — თქვა გია თორთლაძემ.

შეკითხვაზე თუ ვინ დააფინანსა ესოდენ ძვირადღირებული ექსპედიცია, ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ეს პრობლემა გადაიჭრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ უვანიას ატეიური ხელშეწყობით, რისთვისაც ექსპედიციის უველა წევრის სახელით მას მადლობა გადაუხადა. უშუალო დამფინანსებლები კი არ დაასახელა, რადგან ამ ადამიანებს ეს საკმაოდ სოლიდური დახმარება რეკლამისთვის არ გაუწევიათ.

მომავალ გეგმებზე ითქვა, რომ ალპინისტების საასპარეზო მთებია და თუ მატერიალური დახმარება იქნება, ექსპედიციები კვლავ მოეწყობა — მწვერვალები ხომ უამრავია დასალაშქრი. პირადად გია თორთლაძეს კი თავისი გეგმა აქვს და ის უკვე ზრუნავს მის განხორციელებაზე. ამ გეგმიდან უველაზე მნიშვნელოვანი კი მწვერვალებისკენ ერთ-ერთი სოლიდური საერთაშორისო ექსპედიციის გაძღოლაა.

ჩვენს ჯგუფს ღამის ორის ნახევარზე წამოუწყია იერიში და დილით, იმავე დღეს, 26 მაისს, თორმეტს რომ აკლდა ხუთი წუთი (ნეპალის დროით) მწვერვალის უმაღლესი წერტილიდან გადაუხედავთ დედამიწისთვის. ზუსტად ამ დროისთვის აფრიალებულა საქართველოს ეროვნული დროშა ევერესტზე. ჩრდილოეთის კედლიდან (ტიბეტის მხარე) მწვერვალზე ახულან გია თორთლაძე, მერაბ ხაბაზი, მერაბ ნემსიწვერიძე, მამუკა ციხისელი, ირაკლი უგულავა („ლელოს“ უოფილი რედაქტორის შვილიშვილი), დავით ჩანტლაძე ადრე ჩამოშორებია ჯგუფს, შემდეგ კი უფრო გვიან და უფრო ზევით მწვერვალზე იერიში შეუწყვეტია გუნდის

ირაკლი ლაბაძეს წყვილთა თანრიგში „როლან გაროსის“ თასი!



დაწვრილებით იხ. 23-2 გვ.

საფრანგეთის ეს ღია ჩემპიონატი, რომელსაც არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატსაც უწოდებენ, ტრადიციულად პარიზში იმართება. ასპარეზობაში 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელებიც მონაწილეობენ. თბილისელ ირაკლი ლაბაძეს, რომელსაც მამამისი გივი ლაბაძე ავარჯიშებს, 9 ივნისს შეუსრულდა 18 წელი და ეს მისთვის ბოლო შეჯიბრება იყო პოპულარული შეჯიბრების ამ ასაკობრივ პროგრამაში. ირაკლის ამჟამად ამერიკაში მცხოვრებ ხორვატიელ ჩოგბურთელთან ერთად უასპარეზია წყვილთა თანრიგში და პირველობა მოუპოვებია.

ახლა ჩვენი ჩოგბურთელი, როგორც გუშინ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციიდან ლალი ზერაკიძემ გვითხრა, უკვე ინგლისშია და უიმბლდონის ტურნირში იასპარეზებს, ცხადია, დიდებში.

ვაჟა კრავეიშვილის შეგირდებმა კვლავ გვასახელეს

(იხ. მე-2 გვ.)

ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯავახაძე



სახელოვან ფალავანთა ნაკვალევზე

14 აპრილს ბათუმის ცირკში ტევა არ იყო. მაყურებელი მოუთმენლად ელოდა საქართველოს ფალავნის კულა გლდანელისა და ვიღაც მეგრელის ორთაბრძოლას. დაიწყო შეხვედრა სარბიელზე. პირველი კულა გამოვიდა, რომელსაც ხალხმა ოვაციები გაუმართა. თავის ძალასა და ძლიერებაში დარწმუნებული კულა არწივივით უვლიდა სარბიელს, უცებ არენაზე გადმოხტა ნ. ესებუა, მისი წვრილი წელი, ვეებერთელა მხარბეჭი და მკვირცხლი მოძრაობა მაყურებლებში სიმპათიას იმსახურებდა. დაიწყო შეხვედრა. კულა პირველ წუთებშივე მიხვდა, რომ ახალგაზრდა მეგრელთან ხუმრობა არ შეიძლებოდა. იგი ცდილობდა ერთი ხელის მოსმით ქვეშ ამოედო ნესტორი, მაგრამ ეს უკანასკნელი მარდად უსხლტებოდა ხელიდან, უცებ ნესტორი გვერდით მოექცა მოწინააღმდეგეს, სწვდა კულას, გადასწია ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ და ძირს დაანარცხა: კულა გაბრაზდა, აცახცახდა და როგორც იქნა ნესტორი ხელთ მოიგდო, თავისკენ მიიზიდა, უველას ეგონა, რომ ნესტორი კულას მარწუხებს თავს ვერ დააღწევდა. კულამ ნესტორი აიტაცა კიდეც, მაგრამ ამ უკანასკნელმა ჰაერშივე შეძლო ამოტრიალება, წატორტმანდა და კვლავ ფეხზე დადგა. და აი, შეხვედრის მე-15 წუთზე საზოგადოებამ პირველად იხილა წაქცეული კულა. კულამ ეს დამარცხება შემთხვევით ახსნა და რევანშისათვის ნესტორი ქუთაისში გამოიწვია.

რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისში აფიშები იუწყებოდა ნესტორისა და კულას შეხვედრას, ჯერჯერობით ვერ დავაზუსტეთ, თუ სად ჩატარდა ეს შეხვედრა. გაზეთი „მწყემსი“, რომელიც იმ პერიოდში ქუთაისში გამოდიოდა (რედაქტორი დეკანოზი დავით დამბაშიძე) აღნიშნული ჭიდაობის შესახებ არავითარ ცნობებს არ იძლევა, ვერც ქალაქის არქივში წავაწყდით რაიმე მასალას.

ქუთაისში ნესტორისა და კულას შეხვედრა ფრად დამთავრდა. აქ ნესტორს ბევრი გულშემატკივარი გაუჩნდა, განსაკუთრებით ახალგაზრდები. მაყურებელი გრძნობდა, რომ კულას უჭირდა ნესტორის გამკლავება. შემდეგ კულამ ნესტორი თბილისში გამოწვია. მან სიამოვნებით მიიღო ეს გამოწვევა. 1886 წლის 31 აგვისტოს თბილისში კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. გაზეთ „ივერიას“ ცნობით: „ამ ჭიდაობას ბევრი ხალხი დაესწრო. შემოსავლის ერთი ნაწილი წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ იყო გადადებული. ჯერ, როგორც ყოველთვის არის ხოლმე, აჭიდავეს პატარები და შემდეგ კი ჯერი გლდანელსა და მის მოწინააღმდეგეზე მიდგა. გლდანელს ეჭიდავებოდა ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი მეგრელი აზნაური – შვილი ესე-

იხ. მე-3 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №4 43

საქართველო

GEORGIA

სეოკ-ის საიუბილეოდ!

10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში

წვრილი ფილტრი

1988–1989 წლები

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, ერთბაშად გამოფხიზლდა ჩვენი ქვეყანა. უკვე აღარავის და არაფერს შეეძლო იმ პროცესების შეჩერება, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობასთან იყო გაიგივებული. ტრაგედიამ ერთი მიზნისათვის შეკრა და შეაკავშირა ხალხი. დიდ უბედურებასთან ერთად, მაშინ ერი ერთად ყოფნის უდიდეს ტკივილიან სიხარულსაც განიცდიდა. საქართველოს სპორტული სამყარო განზე არ გამდგარა, თავის ხალხთან იდგა. მის ყველ განცდას იზიარებდა.

ცენტრი აშკარად ხედავდა, რომ უკვე შეუძლებელი იყო საქართველოს შემობრუნება, მაგრამ არ სურდა ამის დაჯერება. სპორტის სფეროში შეუნიღბავი დაპირისპირების მიზეზად, 1998 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების კანდიდატთაგან ბაკურიანის გაფანისთვის ბრძოლა იქცა. სსრ კავშირის ოკ-ის პლენუმზე საქართველოს დელეგაცია ყოველმხრივ მომზადებული ჩავიდა. ცხადია, ზედმეტად თავდაჯერებულები არ ვყოფილვართ. გათვლილი გვქონდა ყველაფერი, რაც კი შეიძლება მომხარიყო. არ გამოვრიცხავდით, სპექტაკლის გათამაშებასაც, რომლის რეჟისორი, რაღა თქმა უნდა, კრემლის მაღალჩინოსანი იდეოლოგი იქნებოდა.

ალმა-ათა, ბაკურიანი თუ სოჭი? თავისი პოზიცია ამ შეკრებაზე ყველამ დაიცვა, მაგრამ სპექტაკლის სცენარის მიხედვით, ჯერ ალმა-ათას გამოუტანეს „სასიკვდილო განაჩენი“. შეუტიეს ბაკურიანსაც, მაგრამ ასე ადვილად ჩვენი გარიყვა არ მოხერხდა — ბევრი ავტორიტეტული მომხრე გვყავდა თვით რუსეთიდან, განსაკუთრებით სპეციალისტები. ბაკურიანის საკითხის განხილვამდე მოზომილ დიპლომატიურ სვლას მიმართეს — ქართველთა დელეგაციას ბაკურიანის კანდიდატურის მოხსნა ურჩიეს. დამორჩილებას, ცხადია, არ ვაპირებდით. იქვე დასვა ჩვენმა ჯგუფმა შემხვედრი კითხვა, რატომ, რა მოტივით? თანხმობა შემოთავაზებულ წინადადებაზე, აგრესიულად განწყობილთა მხრიდან უხილავ ომში ჩვენი კაპიტულაციური დამარცხების ტოლფასი იქნებოდა. მერე ისინი თავადვე ფარისევლურად გვეტყოდნენ: ეს რა ჰქენით, რა შესაძლებლობა გაუშვით ხელიდან! რაკი ჩვენები არ ნებდებოდნენ, კოსმონავტმა გ. გრეჩკომ, მისი აზრით, ისეთი არგუმენტის მოშველიება მოისურვა, რომელიც თითქოს ბაკურიანს „მშრალზე დატოვებდა“. მან სსრ კავშირის სახტელერადიოს თავმჯდომარეს გ. იუშკიავიჩუსს ჰკითხა, კანდიდატებიდან თუ ვის ჰქონდა ტელეტრანსლაციის უკეთესი შესაძლებლობა. „სოჭს და ბაკურიანს“ — იყო პასუხი. გრეჩკომ ჩაციებით უტრიალა ამ არგუმენტს, მაგრამ სოჭისა და ბაკურიანის თანაბარი შესაძლებლობები არასგზით არ გადაწონა რუსეთის ქალაქის სასარგებლოდ.

კენჭისყრაში ჩვენი წარმატების არანაირი შანსი არ რჩებოდა. საქმეში რაკი დიდი პოლიტიკა ჩაერია, იმათი მხარდაჭერის იმედიც აღარ უნდა გვქონოდა, ვინც ბაკურიანის შესაძლებლობები შეისწავლა და მანამდე, ყოველთვის დაბეჯითებით აღიარებდა ჩვენი კურორტის უპირატესობას. ბაკურიანის წარდგენისას ჩვენს პოზიციებს სხდომაზე იცავდნენ „დიდი ბაკურიანის“ განაშენიანების პროექტის ავტორი, არქიტექტორი ლევან ლორთქიფანიძე, საქართველოს ადგილობრივი კურორტების გაერთიანების გენერალური დირექტორი ზეზვა ღუღუნიშვილი და ზამთრის ოლიმპიურ თამაშების ოთხზის მონაწილე, თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი კოპა წაჭაძე. გამოსვლეთა რაოდენობა და საერთო დრო — 30-40 წუთი რეგლამენტით იყო დადგენილი. მაგრამ ჩვენებმა კიდევ ერთი შანსი ხელიდან არ გაუშვეს. კამათის შეწყვეტის წინ სიტყვა ითხოვა რამაზ გოგლიძემ. როგორც ოკ-ის და პლენუმის წევრს, ამის უფლება მას ჰქონდა. გარდა ამისა, ვერავინ გაბედა შეწინააღმდეგებოდა, რადგან ყველამ ჩინებულად იცოდა, როგორი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა ეს კაცი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. დაგეგეთანხმებით, რომ კიდევ ერთი დამატებითი გამოსვლა, თანაც უშუალოდ კენჭისყრის წინ, ცოტას არ ნიშნავდა. „ერთადერთი კანდიდატურაა ბაკურიანი, ხოლო სხვა გადაწყვეტილება ავნებს საერთო ინტერესებს“ — ასეთი იყო რ. გოგლიძის გამოსვლის პათოსი.

მთავარი კოზირი, მაინც ხმათა რაოდენობა იყო. სსრ კავშირის ოკ-ის 178 წევრიდან რუსეთს წარმოადგენდა 136. ამ უსამართლობას ახლა აღარაფერი გამოასწორებდა, უაზრობა იქნებოდა ნებისმიერი პროტესტი. ჩვენ კიდევ არა გვიშავდა — სამი წევრი გვყავდა ოკ-ში — ნ. ენდელაძე, რ. გოგლიძე (როგორც კეტბურთის და სოფტბოლის საკავშირო ფედერაციის პრეზიდენტი) და რ. რურუა. დანარჩენი რესპუბლიკებიდან თითო, ზოგიერთიდან მაქსიმუმ ორი წარმომადგენელი იყო. მოკლედ, მხოლოდ 17 ხმა მივიღეთ. ჩვენების გარდა, ვინ იყო ის თოთხმეტი? მაშინვე ვიცოდით, რომ მხარი დაგვიჭირეს ცნობილმა მოთხილამურემ ა. ტიხონოვმა, ი. იარიგინმა, ა. მედვედმა, ა. ივანიცკიმ, ა. გომელსკიმ, ე. იუგუმონოვმა, ვ. კუდრიავცევმა და ბალტიისპირეთის წარმომადგენლებმა.

სოჭის კანდიდატად გამოცხადების სიხარულით გამოწვეული ოვაცია ჩაცხრა თუ არა, დარბაზში სრულიად მოულოდნელად გაისმა მუხე ხმა: „ამის შემდეგ ყველა შეკრებას და ოლიმპიადისწინა სამზადისს ქვეყნის ნაკრები ალბათ სოჭში ჩაატარებს, ბაკურიანი ველარავის მიიღებს“ — ეს ჯანსუღ ბაგრატიონი იყო, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ჩვენში, იმ ხანებში, სპორტის ზამთრის სახეობების კურატორი იყო.

— ნუ გვაშინებთ! — გაისმა პასუხად პრეზიდიუმის მაგიდიდან.

მაგრამ ეს სულაც არ იყო მუქარა. ეს იყო რწმენა, ღირებულებათა გადაფასებით ნაკარნახევი, ეს იყო პრინციპი, ურომლისოდაც ცხოვრება არ შეიძლება, მით უფრო, თუ აშკარად გამოჩნდა ვინ ვინ არის. ჯანსუღ ბაგრატიონს მხოლოდ პრეზიდიუმისთვის არ მიუმართავს. ეს რისხვა ეხებოდა ზამთრის სპორტის სახეობათა იმ საბჭოთა სპეციალისტებსაც, რომლებიც ათეული წლობით სარგებლობდნენ ბაკურიანის სიკეთით, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ზურგი შეაქციეს ბაკურიანსაც და ჩვენს ხალხსაც.

შეიძლება ვთქვათ, რომ ბაკურიანის „ჩავარდნა“ სამმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა: **პირველი** — საქართველო იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის; **მეორე** — რუსეთის ურჩენოდა ის მილიარდი რუბლი (თუ მეტი არა), რომელიც გამოიყოფოდა გამარჯვებული კანდიდატურის ასაფავებლად, ისევ თავისი ქვეყნისთვის მოეხმარა და არა სსრ კავშირიდან გასვლაზე ორიენტირებულ საქართველოში გადაესროლა; **მესამე** — რუსეთი ხელიდან არ გაუშვებდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან აქტიური თანამშრომლობისათვის ჩვენი დასჯის შესაძლებლობას.

ის, რაც ოკ-ის პლენუმზე მოსკოვში მოხდა, საქართველოში ეოკ-ის შექმნის უფრო გააქტიურების სტიმულად იქცა. უკვე სერიოზულად დავიწყეთ მსჯელობა დაგეგეჩქარებინა დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება. საინიციატივო ჯგუფის მესამე მსხდომაზე ბაკურიანთან დაკავშირებულ ძალმომრეობაზეც იყო საუბარი.

იმ პლენუმზე სსრ კავშირის ოკ-ს თავისი ახალი წესდებაც უნდა მიეღო. მაგრამ გამოვიდა ლატვიის წარმომადგენელი და ყველაფერს ხაზი გადაუსვა. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და, როგორც შევთანხმდით, საქართველოს სახელით, მან განაცხადა, რომ თუ ამ ოთხი რესპუბლიკის მიერ შეთავაზებულ შესწორებას არ შეიტანდნენ პროექტში, მაშინ ეს რესპუბლიკები მისი მიღების წინააღმდეგ წავიდოდნენ. ერთი ამბავი დაგვატეხეს. იყო შეურაცხმყოფელი გამოხტომებიც. განსხვავებულმა აზრმა და პრინციპულმა მოთხოვნამ, ცენტრალური სპორტული ხელისუფლება, რომლის უკან დიდი პოლიტიკა იდგა, წონასწორობიდან გამოიყვანა. იმსჯელეს, გვთათხეს, მაგრამ თავიანთი პროექტის მიღება მაინც ვერ გაბედეს. საკითხი რამდენიმე თვით, კერძოდ ნოემბრისთვის გადაიდო. ჩვენთვის ესეც გამარჯვება იყო. ნოემბრამდე, ცხადია, საკუთარი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას უპრობლემოდ მოვასწრებდით.

თენგიზ გაჩეჩილაძე

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“ №41, 42, 43

უჩვეულო სტუმრებს მასპინძლობდა 9 ივნისს დედაქალაქში იმერეთის წარმომადგენლობის ოფისი. ასეთი „ოფიციოზის“ კედლებში სულაც არაა დამახასიათებელი საუბარი ფეხბურთზე, მის პრობლემებზე. და მაინც შეკრების მიზეზი სწორედ ფეხბურთი გახლდათ. კერძოდ, ის, რომ დავით ყიფიანმა, რომელსაც არაერთი მიწვევა ჰქონდა ამ ბოლო დროს სხვადასხვა ქვეყნიდან, არჩევანი ქუთაურთა გუნდზე შეაჩერა და ამ დღეებში ჩაიბარა კიდეც იგი.

სწორედ ამ ფაქტს მიეძღვნა წარმომადგენლობაში გამართული პრეს-კონფერენცია საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებთან, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში თემურ შაიაშვილი და „ტორპედოს“ კლუბის პრეზიდენტი მიხეილ ქორქია.

შეკითხვაზე გუნდის გეგმების შესახებ დ. ყიფიანმა ასე უპასუხა: „ტორპედომ“ წლეულს ქვეყნის პირველობაში მეორე საპატიო ადგილი მოიპოვა და თასსაც დაეუფლა. „ვერცხლს“ ოქროს მედლები უნდა მოჰყვებოდეს. ვფიქრობთ, გასაგებია რას ისახავს მიზნად გუნდი, რომელსაც უკვე შეეხვდი.

● ***რა ცვლილებებია მოსალოდნელი გუნდის მწვრთნელთა და ხელმძღვანელთა შტაბში?***

— არავითარი, გუნდთან ვინც მუშაობს, „თავიანთ ადგილზე“ არიან და დარჩებიან კიდეც.

რაც შეეხება გუნდის გაძლიერებას, ამაზე ყველა მწვრთნელი ფიქრობს და გამონაკლისი არც მე ვიქნები.

● ***უფრო კონკრეტულად გეგმებზე რას იტყოდით?***

— ესაა უეფა-ს თასზე ღირსეული გამოსვლა, რისთვისაც მზადებას უახლოეს დღეებში დავიწყებთ. კერძოდ, 15 ივნისს „ტორპედო“ გაემგზავრება ბელგიაში ერთ-ერთ თანამედროვე ბაზაზე, რომელიც ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

კითხვაზე, როგორ მოემზადება ამ საპატიო ტურნირისათვის სტადიონი, თ. შაიაშვილმა განაცხადა, რომ ქუთაისი თავს არ შეირცხვენს და ღირსეულად დახვდება ამ გათამაშებას. პირველ ყოვლისა, საფუძვლიანად შეკეთდება თვით სტადიონი, რომელზეც სულ ცოტა, 20 ათასი ინდივიდუალური სავარძელი დამონტაჟდება, რომელსაც ჩვენს ქალაქში დავამზადებთ. ამას გარდა, ქალაქის ხელმძღვანელობას გათვალისწინებული აქვს, რომ ჩვენთან მოვიდა ფეხბურთის დიდი სპეციალისტი და მას ყოველმხრივი ხელის შეწყობა და დახმარება უნდა. ამდენად, არა მგონია, ახალ მწვრთნელს გუნდში რამე პრობლემა გაუჩნდეს, და თუ გაუჩნდება, ისიც ჩვენი გადასაწყვეტი იქნება...

ექსკლუზიურ კითხვაზე — კიდევ თუ გქონდათ რომელიმე გუნდში მიწვევა, დ. ყიფიანმა გვიპასუხა:

— იყო რამდენიმე ვარიანტი, იმავ „რასინგ მეჰელენიდან“, საიდანაც ჩემი ნებით წამოვედი.

● ***რამდენ ხნიანია ქუთაისის „ტორპედოსთან“ თქვენი კონტრაქტი?***

— ჯერჯერობით ერთწლიანია...

ჯ. უნგიაძე

ყიფიანს საქართველო არ ეთმობა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა კადეტთა საერთაშორისო ტურნირი

ვაჟა კრავეიშვილის შეგირდებმა კვლავ გვასახელეს

ჩვენში ჭიდაობისადმი ახალგაზრდების ინტერესი არ განელებულა. უფროსი თაობის ტრადიციებზე კვლავ იზრდებიან ნიჭიერი ფალავნები, რაც ამ დღეებში თურქეთის ქალაქ კანაპლიეში გამართულმა 16-17 წლის ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირმაც დაადასტურა. ჩვენი კადეტები შინ 9 მედლით დაბრუნდნენ. აქედან სამი ოქროსია, ხუთი — ვერცხლისა და ერთი — ბრინჯაოსი. მედალოსანთაგან სამი ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის (ორს) აღსაზრდელია. გუნდს ტურნირისთვის ამზადებდა ორს-ის ბერძნულ-რომაული ჭიდაობის განყოფილების უფროსი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვაჟა კრავეიშვილი.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. უძლიერესის სახელი მოიპოვეს თბილისელებმა ალექსანდრე ტაბატაძემ (42 კგ), პაატა ბიწაძემ (54) და ხობელმა პაპუნა დოჩიამ (58, ორს); მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ ბათუმელები ელიზბარ მაჭუტაძე (63, ორს), მამუკა ხიმშიაშვილი (69, ინტერნატი), რამაზ დევაძე (100, ორს), თბილისელები პეტრე მეტრეველი (76), ხელვაჩაურელი პაატა ზაქარიაძე (85), მესამე იყო თბილისელი შალვა გადაბაძე (69).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თურქეთი, 2. საქართველო, 3. რუმინეთი.

აღსანიშნავია, რომ გუნდი ტურნირზე საკუთარი სახსრებით გაემგზავრა.

ლ. შანშიაშვილი

კროსი ახალციხეში

რომელიც უნივერსიტეტის ფილიალის 10 წლისთავს მიეძღვნა

საქართველოში, ტრადიციულად, უმაღლესი სასწავლებლები სპორტული მუშაობის ცენტრებს წარმოადგენდნენ და, მიუხედავად სიძნელეებისა, ასეა ამჟამადაც. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი კი ყოველთვის იყო გამორჩეული სპორტული ცხოვრებით და სპორტსმენებით. დედაუნივერსიტეტის ღირსებას თვალისჩინივით უფრთხილდებიან ამ სასწავლებლის ახალციხის ფილიალში, სადაც ამ დღეებში დაარსებიდან 10 წლისთავი აღნიშნეს. ცხადია, ზეიმს სპორტიც ამშვენებდა — ჩატარდა მასობრივი მძლეოსნური გარბენი მარშრუტით: თამარ მეფის ძეგლი — უნივერსიტეტის ფილიალი. მთავარი ის არის, რომ გარდა სტუდენტებისა, 3 კმ-იან კროსში მონაწილეობდნენ მოსწავლეები, მათ შორის ბორჯომიდან, სამხედრო ნაწილების მეომრები, რბენის მოყვარულები, სულ 300-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის ადამიანი, რითაც უნივერსიტეტის ფილიალის მცირე იუბილე საყოველთაო ზეიმად იქცა.

ვაჟებში გამარჯვება წილად ხვდა ახალციხელ ერიკ კიურკჩიანს, მეორე იყო ბორჯომელი მოსწავლე გიორგი გოგიტაშვილი, მესამე — არტევაზ პაპოიანი (ახალციხე). გოგონებში ყველას აჯობა ბორჯომელმა მოსწავლემ, მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად ახალციხელები მარინა გვარამაძე და ნაილი ნებაძე გავიდნენ. 12-13 წლის ბიჭები: 1. კობა ნებაძე, 2. არტურ ირიციანი (ორივე — ახალციხე), 3. სერგო ცომაია (ბორჯომი); გოგონები: 1. სოფიკო ლაბაძე, 2. ცირა ლომიძე (ორივე — ახალციხე), 3. ვიკა ქადანი (ბორჯომი). ყველაზე უფროსი მონაწილე იყო 60 წლის აკაკი გოჩაშვილი, ყველაზე უმცროსი — 5 წლის გიორგი ზილბერშტეინი — ცნობილი მძლეოსნის შვილი.

უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის რექტორმა მერაბ ბერიძემ გამარჯვებულებს და პრიზიორებს ფულადი ჯილდოები და პრიზები გადასცა.

სოფიო ხეთაბაშვილი,
„ლელოს“ საკ. კორ.

ოლიმპიური ჩემპიონების სახელობითი სტიპენდიები — სტუდენტებს!

საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა ცვლილება შეიტანა თავის ადრინდელ დადგენილებაში და სეოკ-ის სტიპენდიები, რომლებიც დაწესებული იყო საქართველოს ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებლებში, ოლიმპიურ ჩემპიონთა სახელობით სტიპენდიებად შეცვალა.

სეოკ-ის აღმასკომის დადგენილებით 1999-2000 სასწავლო წლიდან სტუდენტთათვის ოლიმპიურ ჩემპიონთა სახელობითი სტიპენდიები დაწესდა:

— საქართველოს სპორტის აკადემიაში — ***დავით ციმაკურიძის*** სახელობის, ***რაფაელ ჩიმიშკიანის*** სახელობის;

— ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ***მზია ჯულელის*** სახელობის;

— ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ***ზურაბ საკანდელიძის*** სახელობის;

— ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზეთის ფილიალში — ***ვიქტორ სანეევის*** სახელობის;

— ი. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ***გივი კარტოზიას*** სახელობის;

— გორის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში — ***შოთა ჩოხოშვილის*** სახელობის;

— თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში — ***ლევან თედიაშვილის*** სახელობის.

საგარეჯოში გაიმართა დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო ღონისძიება. ერთდროული საჭადრაკო სეანსებში მონაწილეობდნენ: მაია ლომინეიშვილი, ნინო ხურციძე, დავით გურგენიძე, თენგიზ გიორგაძე, მწვრთნელი ელგუჯა ფხაკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი შეხვედრათა (II ტური)

პლეი-ოფი
(გადასასვლელი მატჩი)

„დინამო-2“ პირველ ჯგუფში, ქიზიყელთა ბრძოლა გრძელდება...

8.06.99 გორი. „ცენტრალური“ სტადიონი. 3000 მაყურებელი.

„დინამო-2“ (თბილისი) – „ღარწყალი“ (ძველი ანაგა) 1-1. პენალტები (4-2)

„დინამო-2“: ბათიაშვილი, რუხაძე, ხიზანიშვილი, აბრამიძე, საჯაია, გველესიანი, მიქაძე, კვარაცხელია, ი. შენგელია (აფციაური, 46), ვ. გაგუა, ლ. მელქაძე (ბურდული, 14).

„ღარწყალი“: ნაჭყებია, თედიაშვილი, გულაშვილი, ბარამიძე, ცომაია, გოლეთიანი, გელაშვილი, გოძიაშვილი, წიკლაური (მიკუჩაძე, 76), ტოკლიკიშვილი, ჩიგოშვილი (სირაძე, 94).

გოლები: 0-1 ტოკლიკიშვილი (16), 1-1 მიქაძე (29).

მატჩის შემდგომი პენალტები: 0-1. სირაძე, 1-1 ვ. გაგუა, 1-1 ცომაია (ძელი), 2-1 ბურდული, 2-2 ბარამიძე, 2-3 კვარაცხელია, 2-3 გოძიაშვილი (მეკარემ მოიგერია), 2-4 მიქაძე.

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

ბააშრთხილეს: ტოკლიკიშვილი, გულაშვილი, გოლეთიანი, ხიზანიშვილი, თედიაშვილი, ჩიგოშვილი.

გორში „ღარწყალმა“ გულშემატკივართა დიდი არმია იწვია, რომლებსაც არ განელებიათ ოვაციები საყვარელი გუნდის მიმართ. მართლაც, ამფერუმ მათ მხარდაჭერას! თუმცა, რატომ მხოლოდ მათ? ადგილობრივი გულშემატკივრებიც, მათ შორის პოლიციაც, ქიზიყელებს ქომაგობდნენ...

შეგულიანებულმა „ღარწყალმა“ თავიდანვე იერიშებს მიმართა და საწადელსაც მალე მიაღწია. გოძიაშვილის ჩაწოდებული ბურთი ტოკლიკიშვილმა თავით გადააგზავნა კარში. ჩინებული გოლი იყო. 1-0. ქიზიყელები ამის შემდგომაც აკონტროლებდნენ სიტუაციას, მაგრამ დაცვაში პატარა ლაფსუსი (ვგონებ, ერთადერთი) მოუვიდათ – მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მიქაძემ ანგარიში გაქვითა. 1-1. ტაიმის მიწურულს დინამოელთა საჯარიმოში შეჭრილი ტოკლიკიშვილი „მოცელეს“. იყო თუ არა პენალტი, ამის განსჯა ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. ეგაა, ამ ეპიზოდმა დიდი გავლენა იქონია მატჩის მსვლელობაზე და ინციდენტიც ამ წუთებიდან დაიწყო. გამართლება არ უწერია „დინამო-2“-ის ფეხბურთელთა მართლაც ყოვლად არაეთიკურ და უხამს ქუსტებს, რომლებსაც ღარწყალელთა გულშემატკივრებისადმი მიმართავდნენ. ასეთმა უდიერებამ უარესად დაძაბა მატჩი.

საერთო სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. ორივე გუნდს შეეძლო წარმატების მიღწევა. ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი კი 86-ე წუთზე „ღარწყალმა“ შექმნა. მიკუჩაძემ და ჩიგოშვილმა ვერ მოახერხეს თითქმის დაუცველი კარის აღება. არადა, გოლი გარდაუვალი ჩანდა. თამაშის მონახაზს თუ შევხედავთ, ანაგელები ცენტრში აშკარად ბატონ-პატრონობდნენ, რაც უდავოდ სოსო ბარამიძის დამსახურებაა. იგი მოედნის ყველა „კუთხე-კუნჭულში“ იბრძოდა. ბარამიძის თამაშმა ბერძნებთან თემურ ქეცბაიას მანერები გამახსენა, მით უმეტეს, რომ ეს ორი ფეხბურთელი გარეგნულადაც ძალიან გვანან ერთმანეთს. „დინამო-2“ კი უფრო შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. – ინდივიდუალურ თამაშს ერიდებოდნენ.

დამატებითი დრო. კვლავ არ განელებულა ტემპი. შეტევას შეტევა ცვლიდა და გოლი რომ არ გავიდა, ეს მეკარეთა დამსახურებაცაა. გაილაღა „ღარწყალის“ თავდამსხმელმა ტოკლიკიშვილმა, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში სოლო-რეიდებით ტანჯავდა მეტოქეთა მცველებს, თუმცა, ბოლო სტადიაში უზუსტოდ ურტყამდა.

ჯერი პენალტებზე მიდგა. აქ უფრო მტკიცე ნერვები „დინამო-2“-ის ბიჭებს აღმოაჩნდათ და I ჯგუფის საგზურიც მოიპოვეს. თუმცა, ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული ამ კლუბის მომავალი სახელწოდება. მატჩის დამთავრების შემდეგ სერგო კვარაცხელიას ბედს ჩვენს მტერს არ ვუსურვებდით. კახური „ტორსიდა“ და თვით პრეზიდენტი ავთო მაგროშვილი აღშფოთებას ვერ მალავდნენ მისი მსაჯობის გამო. ასეთი აყალმაყალი კარგა ხანია არ მომხდარა ჩვენს ჩემპიონატში. ამგვარი ბატალიების ხშირი მონაწილეები გორის პოლიციელებიც კი, ძლივს იკავებდნენ ემოციებს და დამწუხრებულები ამბობდნენ: „ნეიტრალურ მოედნად ყოველთვის გორს ირჩევენ, დაგვწყდა ნერვებიო“.

ბედთან „ღარწყალის“ ჭიდილი გრძელდება და ხვალ, 12 ივნისს, რუსთავში იგი ვანელებს ხვდება, წარმატების შემთხვევაში კი ჯერჯერობით პირველ ჯგუფელ თსუ-ს შეებრძოლება. სწორედ ამ მატჩებში გაირკვევა ქიზიყელთა ბედი.

ილია ნანობაშვილი

ჯგუფური ტურნირის ცხრილი

A ჯგუფი
VI ტურის შედეგები

მთაწმინდა — დრონი 4-2
სარბიელი — სონიკი 8-4
სპორტ. საქართველო — ლიდერი 8-3
ვაკე 1 — დიღომი 3-2
მეტროპოლიტენი — კავკასიონი 1-3
ფარავანი — ვერა 2-2
ვაკე 75 — 7 დღე 1-2
მეტეხი — თემქა 4-2
მაესტრო — პლატო 99 13-7
დიდუბე — მილანი-ავლაბარი 4-4

B ჯგუფი
I ტურის შედეგები

თბილისი-სპორტ. სამმართვ.2 11-2
ირაო — ავლაბარი 5-2
8 1/2 — სახალხო ვერა 5-9
ნაძალადევი — ლოკომოტივი 2-6
ზაჰესი — ორბი 1-9
მაჭსი — ვეძა 1-5

გათამაშების ცხრილი ● A ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. მაესტრო	6	6	0	0	35-20	18
2. მეტეხი	6	6	0	0	22-7	18
3. მთაწმინდა	6	5	0	1	35-10	15
4. სპორტ.საქარ.	6	4	1	1	28-13	13
5. დრონი	6	4	1	1	20-7	13
6.ვაკე 1	6	4	0	2	25-10	12
7.ფალავანი	6	3	2	1	21-10	11
8.დიღომი	6	3	2	1	20-12	11
9.მილან.-ავლაბ.	6	3	1	2	26-23	10
10. სარბიელი	6	3	0	3	23-28	9
11. 7 დღე	6	3	0	3	12-18	9
12. კავკასიონი	6	3	0	3	14-21	9
13. ვერა	6	2	1	3	22-14	7
14. დიდუბე	6	2	1	3	19-36	7
15. მეტროპოლ.	6	1	1	4	11-17	4
16. ვაკე 75	6	1	0	5	11-21	3
17. ლიდერი	6	1	0	5	11-24	3
18. პლატო 99	6	1	0	5	19-44	3
19. თემქა	6	0	0	6	14-28	0
20 სონიკი	6	0	0	6	12-37	0

ბომბარდირები

1. კოკა რუსაძე (მთაწმინდა) — 23
2. რამაზ დვალიშვილი (მილანი) — 17
3. ლექსო მარგიანი (მეტეხი) — 10
4. გოჩა გეგეჭკორი (მაესტრო) — 9
5. გია ჭყონია (მაესტრო) — 9
6. ემზარ ბედინეიშვილი (ფალავანი) — 9
7. ზურაბ მეტრეველი (სპ. საქართვ.) — 8
8. გია ალთუნაშვილი (დრონი) — 8
9. ჯამბულ ხასაია (დიდუბე) — 8
10. მამუკა გეგეჭკორი (მაესტრო) — 7
11. კოკა ბიბილეიშვილი (ვაკე 1) — 7
12. პაატა კვანტალიანი (სარბიელი) — 7
13. კახა თალაკვაძე (სარბიელი) — 7
14. დათო კუპავა (ვერა) — 7

VII ტური

12 ივნისი, შაბათი
13.00 ფალავანი — 7 დღე
14.00 ვაკე 75 — თემქა
15.00 მეტეხი — პლატო 99
16.00 მაესტრო — მილანი-ავლაბარი
17.00 დიდუბე — დრონი

13 ივნისი, კვირა
11.00 მთაწმინდა — სონიკი
12.00 სარბიელი — სპორტ.საქართველო
13.00 ვერა — დიღომი
14.00 ვაკე 1 — კავკასიონი
15.00 მეტროპოლიტენი — ლიდერი

II ტური

11 ივნისი, პარასკევი
11.00 8 1/2 — ვეძა
12.00 მაჭსი — სპ. საქართ. 2
13.00 თბილისი — აწლაბარი.

12 ივნისი, შაბათი
18.00 ირაო — ლოკომოტივი.

13 ივნისი, კვირა
10.00 ნაძალადევი — ორბი
16.00 ზაჰესი — სახალხო ვერა.

ესპანელები ემზადებიან

„ბარსელონა“ – „ატლეტიკო“. ბარსელონელი კლუვერტი გარსიასა (მარცხნივ) და ალკორტას გარემოცვაში

● „ბარსელონას“ მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელების სია, რომელთა იმედი ახალ სეზონში აღარ ექნება. თუკი ჰოლანდიელი კატალონური კლუბის სათავეში დარჩება, იგი აპირებს მიგელ ანხელ ნადალის, როხერ და ოსკარ გარსიას, დრაგან ჩირიჩის, კარლოს ბუსკეტისა, და, შესაძლოა, ჯოვანის განთავისუფლებას. უახლოეს ხანებში კლუბს წარუდგენენ ახალ მოთამაშეებს: პორტუგალიელ სიმან საბროზას, ფრანგ ფრედერიკ დეუსა და ფინელ იარი ლიტმანენს.

● ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ, პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ და ესპანელი ფეხბურთელების ასოციაციამ შეთანხმების მოაწერეს ხელი პირველ და მეორე დივიზიონებში უცხოელი ფეხბურთელების (რომლებიც ევროკავშირის მოქალაქეები არ არიან) რიცხვის შემცირების შესახებ. ახლა, 2000-2001 წლების ჩემპიონატიდან დაწყებული, 2004-2005 წლების ეროვნულ ჩემპიონატამდე პირველ დივიზიონში გუნდებმა შეიძლება წარმოადგინონ 5 ფეხბურთელის განაცხადი, მეორეში კი — ოთხისა. ამასთან, მინდორზე შეიძლება გამოვიდეს შესაბამისად 3 და 2 მოთამაშე.

● „მალიორკას“ მთავარ მწვრთნელ არგენტინელ ეცტორ კუპერის კონტრაქტი 30 ივნისს თავდება. კუპერმა მიიღო გადაწყვეტილება კონტრაქტი აღარ განაახლოს. ფიქრობენ, რომ „მალიორკას“ სათავეში ჩაუდგება მეორე არგენტინელი კარლოს ტიმოტეო გრიგუოლი, რომელიც ახლა კლუბ „ჩიმნასია ი ესგრიმას“ უდგას სათავეში, კუპერი კი „ვალენსიის“ მწვრთნელი გახდება.

● ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა 6 მატჩით დისკვალიფიკაცია მისცა ბილბაოს „ატლეტიკის“ მთავარ მწვრთნელ ლუის ფერნანდესს „ატლეტიკო“ — „ბარსელონას“ მატჩში მსაჯის შეურაცხყოფისათვის.

● „ვალენსია“ თანახმაა 16 მილიონი დოლარი გადაუხადოს „პორტუს“ ბრაზილიელ სხაპერ მარიო ჯარდელში, იმ შემთხვევაში, თუ არგენტინელი კლაუდიო ლოპესი, რომელსაც ახლა ყოველი მხრიდან ეპატიჟებიან, დატოვებს კლუბს.

● „არსენალის“ და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა დათანხმდა მადრიდის „რეალში“ გადავიდეს. ამავე დროს, თავდამსხმელმა ფერნანდო მორიენტესმა „სამეფო კლუბთან“ კონტრაქტი 2003 წლამდე გააგრძელა.

● „ბარსელონას“ მოთამაშეებს, ბრაზილიელ სონი ანდერსონსა და როჯერ გარსიას წინადადება მისცეს „მოწაყოში“ გადავიდნენ, როხერის ძმა ოსკარი კი იჯარის პირობებით „ვალენსიაში“ ან „სელტაში“ ითამაშებს.

● „რეალის“ იუგოსლავიელი თავდამსხმელი პრიაცა ოგნენოვიჩი, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში აშკარად არა აქვს ადგილი, იჯარის პირობების გამო რომელიმე სხვა კლუბში ითამაშებს.

ფრანგები დროს არ კარგავენ

21 წლის კაბა დიავარა, რომელიც აქამდე ლონდონის „არსენალში“ თამაშობდა, მარსელის „ოლიმპიკში“ ჩაირიცხა. „სტრასბურში“ მომდევნო ოთხი სეზონის განმავლობაში ითამაშებს ავსტრიელი თავდამსხმელი, 24 წლის მარიო ჰაასი, რომელიც აქამდე გრაცის „შტურმში“ გამოდიოდა.

„პარი სენ-ჟერმენმა“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ბორდოს“ ცნობილ ნახევარმცველ ალი ბენარბიასთან. ბენარბია საფრანგეთში 1998-99 წლების სეზონის №1 ფეხბურთელად აღიარეს.

სახელოვან ფალავანთა ნაკვალევზე

(პირველი გვერდიდან)

ბუა, რომელიც ერთხელ უკვე დასჭიდებოდა ბათუმში და ვერც ერთს ვერ გაექცია. ესებუა სულ 23-24 წლის ყმაწვილი კაცია, წარმოსადეგი, ლამაზის შეხედულობისა; გლდანელს მას შემდეგ, რაც ჭიდაობს ორმოცამდე კაცი გაულახავს, ორმოცამდესთან უჭიდავია, მაგრამ ჯერ ესებუასთანა მოჭიდავე არ გამოსჩენია. მოჭიდავეთ დიდხანს იბრძოლეს: გლდანელმა სამჯერ ზურგსი უყო და წააქცია, მაგრამ სამჯერვე სხარტი მეგრელი ქვემოდან ეცლებოდა და ზურგს იბრუნებდა. მესამეზედ ზურგზედ დასცა გლდანელმა, მაგრამ მესამედაც გადაუბრუნდა, ქვეშდამ ხელი ჰკრა გლდანელს და პირაღმა გადააქცია. გლდანელი მაშინვე ფეხზე წამოხტა, მიეხვია იმდენი ხალხი და გაჩნდა ერთი აყალ-მაყალი. ზოგი ამბობდა, რომ ესებუამ წააქციაო და ზოგს გლდანელი გამოჰყვანდა გამარჯვებული. ასე რომ, ხალხის აზრით, გადაწყვეტილი გამარჯვება არც ერთს არ დარჩენია. ამათს ჭიდაობას მომავალ კვირაშიაც მოელის ხალხი. („ივერია“, 1986 წ.)

აქვე, გაზეთ „ივერიაში“ დაშვებული შეცდომა გასწორებას მოითხოვს. ბათუმში კულა გლდანელსა და ნესტორ ესებუას შეხვედრა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო მათი მეორე შეხვედრა ქუთაისში საერთოდ არ არის ნახსენები.

წლების მანძილზე კულა გლდანელს არაერთი სასახელო გამარჯვება მოუპოვებია და მრავალი ფალავანი დაუმარცხებია. ყოველივე ამან მას დედაქალაქში მრავალი გულშემატკივარი შესძინა. ბუნებრივია, გამარჯვებათა მთელი სერიით გალაღებული და გათამამებული კულა გლდანელი ადვილად ვერ შეურიგდებოდა ახალგაზრდა, საზოგადოებისათვის უცნობ ნესტორ ესებუასთან მარცხს, მით უმეტეს, რომ დედაქალაქში კულას კვლავ დაუმარცხებელი ფალავნის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული. ხალხში ომახიანად ისმოდა ცნობილი ლექსი:

„გლდანელი კულა
ჯერ არ გალახულა,
როცა გაილახება
მაშინ დაიმარხება“.

კულა გლდანელი ყოველმხრივ ცდილობდა ნესტორ ესებუასთან დამარცხებული ყოფილიყო და ანგარიშის გზას არ დასდგომოდა. დროებამ ყველაფერს თავის მსგავსი ფერი დაადგა... ამის განსჯა და გაზომვა ჩემი საქმე არ არის... მხოლოდ აი რა უნდა მოგახსენოთ: შარშან მე და მეგრელი ესებუა ერთმანეთს დავეჭიდეთ. ჩემის ფიქრით, მე ვძლიე იგი. მაგრამ ზოგიერთებმა ხმები გაავრცელეს, რომ ვითომ მე გავლახულიყავ.

უსაფუძვლო იქნება, რომ კაცმა დაიჯეროს იმისთანა კაცების სიტყვა, რომელთაც ფალავნობისა არა ესმით რა ჩვენთვის ყოფილან გამოჩენილი ფალავნები. სხვები რომ არ ვახსენოთ, საკმაო იქნება მოვიგონოთ ხიზამ-ბარელი და კოპიტაშვილი, რომელნიც უსასყიდლოდ აცქერინებდნენ სეირს ღარიბს მდაბიო ხალხს და მხოლოდ მდიდრის საჩუქარს სჯერდებოდნენ. ამ ფალავნებს ის სანაქებო ზნეცა ჰქონდათ, რომ თუ არა განთქმულ მოჭიდავეს, ნაყარმუყარს არ დაეჭიდებოდნენ. ახლა ასე აღარ არის, გლდანელი თვითონვე აღიარებს, რომ ახლა ისეთი დრო არის, რა გაეწყობა, მხოლოდ ჯერ გარსიას წინადადება მისცეს „მოწაყოში“ გადავიდნენ, როხერის ძმა ოსკარი კი იჯარის პირობებით „ვალენსიაში“ ან „სელტაში“ ითამაშებს.

● „რეალის“ იუგოსლავიელი თავდამსხმელი პრიაცა ოგნენოვიჩი, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში აშკარად არა აქვს ადგილი, იჯარის პირობების გამო რომელიმე სხვა კლუბში ითამაშებს.

ფრანგები დროს არ კარგავენ

21 წლის კაბა დიავარა, რომელიც აქამდე ლონდონის „არსენალში“ თამაშობდა, მარსელის „ოლიმპიკში“ ჩაირიცხა. „სტრასბურში“ მომდევნო ოთხი სეზონის განმავლობაში ითამაშებს ავსტრიელი თავდამსხმელი, 24 წლის მარიო ჰაასი, რომელიც აქამდე გრაცის „შტურმში“ გამოდიოდა.

„პარი სენ-ჟერმენმა“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ბორდოს“ ცნობილ ნახევარმცველ ალი ბენარბიასთან. ბენარბია საფრანგეთში 1998-99 წლების სეზონის №1 ფეხბურთელად აღიარეს.

სახელოვან ფალავანთა ნაკვალევზე

ბით შეელახული ავტორიტეტის აღდგენას. საინტერესოა მისი წერილი გაზეთ „ივერიის“ რედაქციისადმი:

„ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, სიმართლისა და სისწორის და სიმრუდის გამოსარკვევად ადგილი უშოვნეთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს წერილს.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ყოველ კაცს, რაც უნდა ბევრი ხელობა იცოდეს, ერთი ამ ხელობათაგანი უფრო უყვარს, უფრო გულის მახლობლად მიაჩნია. მისთვის საყვარელ ხელობის დამცირება და შეურაცხყოფა მისთვის სიკვდილია.

წინათ ჩემი საყვარელი საგანი და ხელობა იყო ფალავნობა. მართალია, მაშინ მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: სხვა გზაზედ მიდიოდა და დღეს კი უფრო დაწვრილმანდა. ანგარიშის გზას დაადგა, მაგრამ რა გაეწყობა. აბა ერთი მიბრძანეთ, სხვა რომელი საგანია ამ ჩვენს ანგარიშის საუკუნეში, რომ არ დაწვრილმანდა სამწუხაროდ: ამ ჭიდილს არ დასწრებია არც ერთი ხეირიანი და გამოჩენილი ფალავანი, რომლის მსჯელობა და გადაწყვეტილება დასაჯერებელი ყოფილიყოს. ასე რომ, ჭიდილი გაუთავებელი და გადაუწყვეტელი დარჩა. თქვენის გაზეთის საშუალებით მე ვიწვევ ესებუას და ვფიქრობ, რომ ზნეობრივად ვალდებულია დამთანხმდეს ამ გამოწვევაზე, მით უმეტეს, რომ ჭიდილი დანიშნულია სამადლო საქმისათვის და არა კერძო ანგარიშებისათვის:

„გლდანელი („ივერია“, 1887 წ. №109)

საინტერესოა ნესტორ ესებუას წერილი, გლდანელის პასუხად“, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს.

„ივერიის“ მე-100 №-ში დაბეჭდილია გლდანელის წერილი; ამ წერილით გლდანელი მიწვევს საჭიდაოდ და საზოგადოდ ფალავნობაზედაც საუბრობს და დიადაც საბუთი გვაქვს ვილაპარაკოთ ფალავნობაზედაც. საქართველოში ყოველ სამ მე შემეხება კერძოდ, ამას მოვახსენებ გლდანელს, რომ უწინ ჩემს დღეში არ მიჭიდავნია და პირველად შევეჭიდე ბათომში. დამსწრე ბევრი იყო. გლდანელი მაშინ მე გამოვიწვიე, მეორედაც გლდანელი ზურგზედ მყავდა გაჭიმული, მაგრამ ეგ კი ორსავე ძლევას არაფრად აგდებს და ამბობს საეჭვო იყოვო. შეიძლება ამას ფიქრობდეს, რომ ორჯელვე შემთხვევით დავმარცხდიო. შესაძლებელია, ჭიდაობაში მარცხი და ფათერაკი ერთი წამის საქმეა და ხშირად ორჯელაც მოუვა კაცს, მაგრამ ამ შემთხვევაში მე გლდანელის მაგალითს არ მივბაძავ.

იმას ჩვეულებადა აქვს, თუ ერთხელ როგორმე დასძლია გამოჩენილი ფალავანი, ალთა აილულისა არ იყოს, გინდა საეჭვო ძლევაც იყოს, მერე აღარ ეჭიდავება, ამგვარად მოექცა გლდანელი ეგნატაშვილს და ჯომისა ხევერს. მაშ, მე სრული უფლება მაქვს ვუპასუხო გლდანელს, რომ ჯერ იმათ დაეჭიდოს ხელმეორედ და თუ კიდევ მოერია იმათ, მაშინ მეც გამოუვალ საპირდაპირო. მანამდე კი ტფილისში, სადაც უფროს უმცროსიანად ყველა მისი მომხრე და ქომაგია, მე მას მესამედ არ დავეჭიდები. ქუთაისში კი ყოველთვის მზად ვარ აქ მობრძანდეს როცა უნდოდეს.

მეგრელი ნესტორ ესებუა („ივერია“, 1887 წ. №119).

ნესტორ ესებუას პასუხი გასაგებია: ახალგაზრდა ფალავანმა კარგად იცოდა, რომ დედაქალაქში მის მოწინააღმდეგეს გულშემატკივართა დიდძალი არმია ჰყავდა: ამიტომ შემთხვევით არ იყო, რომ კულა გლდანელს საჭიდაოდ იწვევდა ქუთაისში, სადაც იგი თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

1887 წლის 4 ოქტომბერს კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა მეთხუთ შეხვდნენ ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ კულა იმ დღეს თათრული წესით ჭიდაობდა, ე.ი.წელს ზემოთ ტიტველი იყო და ტანზე საცხწასმული, რათა ნესტორს ხელი აცურებოდა, ფალავნები შეიბნენ. ნესტორს მართლაც ხელი უცურდებოდა. გაბრაზებული ფალავანი კულას თავში სწვდა, კისრულით წამოიღო და ძირს დასცა, ქომაგებმა კულა დამარცხებულად არ ჩათვალეს და ხელახლა აჭიდავეს. შემდეგ კი, როდესაც ნესტორმა ზემოთ აიტაცა მოწინააღმდეგე და ძირს უნდა დაენარცხებინა, ქომაგები ეცნენ. ნესტორს ხელებში კულა გამოგლიჯეს და გააპარეს. პრესამ ეს შეხვედრა რამდენიმე სიტყვით აღნიშნა: „ესებუამ სძლია გლდანელსო“.

(გაგრძელება იქნება)

მას შემდეგ, რაც პაპენი ფეხბურთს გამოეთხოვა

მას შემდეგ, რაც ჟან-პიერ პაპენის გამოსათხოვარი მატჩი გაიმართა, კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა იშვილარს:

● *ექსტრა-ორდინარული სალამო იყო, ჟან-პიერ, არა?*

— მიმძიმს ჩემი ახლანდელი მდგომარეობის გამომხატველი სიტყვების მოძებნა. მშვენიერი, ექსტრაორდინარული... ეს მაინც ის სიტყვები არაა... შევხვდი მეგობრებს, პირველად დიდი ხნის განშორების შემდეგ ვნახე ჩემი პარტნიორები იმ დიდი, 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანი წლების დასაწყისის „მარსელიდან“, საფრანგეთში ყველას რომ ვამარცხებდით. თვით ასეთი მარსელიც არასოდეს მინახავს, არც ასეთი გულითადი გულშემატკივრები განახლებულ „ველოდრომზე“. ერთი სიტყვით, აღტაცებული ვარ, ჩემი ფეხბურთიდან გაცილება დიდებულად ჩატარდა.

● *როდესმე გიფიქრიათ, რომ ფეხბურთს ასეთნაირად გამოეთხოვებოდით, უკანასკნელ საგოლე მომენტს ვერ გამოიყენებდით, ბურთს კარის ძელს მოახვედრებდით?*

— ახალგაზრდებს გაკვეთილი ჩავუტარე: ფეხბურთის მიზანი გოლის გატანა კი არა, ხარახას შეზანზარება არის-შეთქი (იცინის).

● *ჟან-პიერ, შემდეგ რაღას აპირებთ?*

— ვიცოდი, რომ ამას შემეკითხებოდით. მაგრამ ამაზე მაინც არ გიპასუხებთ. შეიძლება, ისე, ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, სადმე ვითამაშო, მაგრამ სამოყვარულო კლუბებში გამოსვლა მაინც არასერიოზულ საქმედ მიმაჩნია. ერთხელ ასეთ კლუბში (ჯუნძულ რეიუნიონზე) უკვე ვთამაშობდი. რაც შეეხება ჩემს შემდგომ ბედ-იღბალს, უახლოეს ხანებში მწვრთნელის ლიცენზიას მივიღებ და შევეცდები რომელიმე კლუბში ვიმუშაო. მანამდე კი მეტ ყურადღებას მივაქცევ ოჯახს, ემილიას (ფეხბურთელის მძიმე ავადმყოფი ქალიშვილი – რედ.).

● *უკვე გაქვთ რაიმე მიწვევა?*

— ჯერჯერობით კონკრეტული არაფერია. ძალიან კარგი — საჭიროა ფხიზლად შევისწავლო სიტუაცია, რა ხდება ფეხბურთის სამყაროში, საჭიროა ყველაფრის შეფასება. გარდა ამისა, ახალი პროფესიაც ხომ უნდა შევისწავლო: ყველა, თუნდაც უდიდესი მოთამაშეც კი კარგი მწვრთნელი როდი ხდება.

● *მომავალში „მარსელს“ მწვრთნელად დაუბრუნდებით?*

— იმედი მაქვს, მოხდება ალბათ, ასეც.

● *საინტერესოა, როგორი იქნება თქვენი, როგორც მწვრთნელის კრედო?*

— ეს იქნება მოთამაშეებთან დიალოგი და არა მათთვის აზრის მოხვევა, ასე ვთქვათ, ცალ კარში თამაში. ეს დასკვნა საკუთარი პრაქტიკიდან გამოვიტანე. ზოგჯერ აზრის გამოთქმის საშუალებას არ მაძლევდნენ, რამაც დაღი დაასვა ჩემი კარიერის დასკვნით ნაწილს. მთლიანად ვემხრობი მწვრთნელისა და ფეხბურთელების კონტაქტისა და ურთიერთგაგების პრინციპს. ამასთან, აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე ავიღებ: ფიზიკურად სუსტ ფეხბურთელს ვერავითარი ტაქტიკური განათლება ვერ უშველის.

● *როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ფრანგულ ფეხბურთში თქვენი კვალი?*

— მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვან: ფრანგულ ენაზე გამოჩნდა ახალი სიტყვა: „პაპინადა“ (ჩვენთან ამას „მაკრატელას“ უწოდებენ – რედ.). ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ანდა ის, რომ შატენეფ-ლე-რუჟის კომუნაში ჩემი სახელი სტადიონს დაარქვეს?! სერიოზულად თუ ვილაპარაკებთ, ჩემს შემდეგ ფრანგი თავდამსხმელების თამაშში ახალი ტენდენციები გაჩნდა. თავდამსხმელების თამაშში ახალი მოდის კანონმდებელი გავხდი. ამიტომაც მომწონს ანელკას თამაში – მას რაღაც ჩემებური აქვს.

● *და მაინც: თქვენს კარიერაში იმედის გაცრუებაც ხომ იყო?*

— იყო, ეს ყველასათვის ცნობილია. მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არ მინდა. მშვენიერი კარიერა მქონდა. ეს მაშინ, როცა 15 წლის წინათ, ფეხბურთის ეროვნული ინსტიტუტი (ინფ) რომ დავამთავრე, მხოლოდ ერთ რამეზე ვოცნებობდი: პროფესიონალი გავმხდარიყავი და ნაკრებში ერთი მატჩი მაინც მეთამაშა.

● *თქვენ საბოლოოდ გამოეთხოვეთ დიდ ფეხბურთს. აზრს ხომ არ შეიცვლით?*

— ფრანგულ საფეხბურთო წიგნში ლამაზი ფურცელი უკვე გადაბრუნებულია...

ახლა კი გავიხსენოთ ჟან-პიერ პაპენის ცხოვრების ძირითადი მომენტები.

დაიბადა 1963 წლის 5 ნოემბერს ქალაქ ბოლონ-სიურ-მერში. 176 სმ სიმაღლისაა, იწონის 72 კგ. გამოდიოდა „ვალანსიენისა“ (1979-1981) და „ნფ ვიშის“ (1981-1984) სამყვარულო კლუბებში.

1984-85 – თამაშობდა „ვალანსიენში“ (მეორე დივიზიონი). 15 გოლი გაიტანა საფრანგეთის პირველობაზე და 1 – თასზე.

1985-1986 – თამაშობდა „ბრიუგეში“ (ბელგია). 21 გოლი ქვეყნის პირველობაზე, 6 – თასზე, 5 – ევროთასებზე.

1986-1992 – გამოდიოდა მარსელის „ოლიმპიკში“: 134 გოლი საფრანგეთის პირველობაზე, 24 – თასზე, 23 – ევროთასებზე.

1992-1994 – თამაშობდა „მილანში“. გაიტანა 18 გოლი „სერია A“-ში, 4 თასზე, 8 – ევროთასებზე.

1994-1996 – გამოდიოდა მიუნხენის „ბაიერნში“. გაიტანა 13 გოლი ბუნდესლიგაში, ვერც ერთი თასზე, 3 – ევროთასებზე.

1996-1998 – თამაშობდა „ბორდოში“. 22 გოლი პირველობაზე, 6 – თასზე.

1998 – თამაშობდა „გენგამში“ (მეორე დივიზიონი). გაიტანა 3 გოლი.

საკლუბო ფეხბურთში გაიტანა 306 გოლი: ჩემპიონატებზე – 226, ეროვნულ თასებზე – 41, ევროთასებზე – 39 გოლი.

1986-1995 წლებში გამოდიოდა საფრანგეთის ნაკრებში, ჩაატარა 54 მატჩი, გაიტანა 30 გოლი. ნაკრებში ისე მოხვდა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გაემგზავრა, რომ საფრანგეთის პირველ დივიზიონში ერთი მატჩიც კი არ ჰქონდა ჩატარებული.

1991 წელს მიიღო „ოქროს ბურთი“, როგორც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა.

1989, 1990, 1991 და ***1992*** წლებში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა.

1993 და ***1994*** წლებში იტალიის ჩემპიონობა მოიპოვა. ჩემპიონთა ლიგის 1994 წლის გათამაშების გამარჯვებულია. უეფას ***1996*** წლის თასზე გამარჯვებული.

ბელგიის ***1985*** წლის თასის მფლობელი.

საფრანგეთის ***1989*** წლის თასის მფლობელი.

მსოფლიო ***1986*** წლის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი.

საფრანგეთის ***1988, 1989, 1990, 1991, 1992*** და ***1993*** წლების ჩემპიონატების საუკეთესო სნაიპერი.

მოამზადა გ. თორელმა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

იტალიური ფეხბურთის ამბები

● სევილიის „ბეტისის“ პარაგვაელი მცველი სელსო აიალა „რომამ“ მიიწვია. გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს კიდევ ორი სამხრეთამერიკელი მცველის — პარაგვაელ კარლოს გამარასა (სანპაულუს „კორინთიანსი“) და ბრაზილიელ ფელიპეს (რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამა“) შეძენას.

● „ინტერის“ ნახევარმცველი დიეგო სიმეონე შეიძლება მადრიდის „ატლეტიკოს“ დაუბრუნდეს, თუკი რადომირ ანტიჩი დატოვებს ამ კლუბს. ზოგიერით საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობამ უკვე დადო წინასწარი ხელშეკრულება ცნობილ იტალიელ მწვრთნელ კლაუდიო რანიერისთან, რომელიც ახლა „ვალენსიას“ უდგას სათავეში.

ბრაზილიური ფეხბურთი მაინც სხვაა

● რომარიოსა და ბრაზილიის სპორტისა და ტურიზმის მინისტრ რაფაელ გრეკას თაოსნობით რიო-დე-ჟანეიროს გარეუბანში დაიწყება ოლიმპიური სოფლის მშენებლობა, სადაც ერთდროულად დაახლოებით 20 ათასი ბავშვი ივარჯიშებს.

● რომარიომ შეთავსებითრადიოკომენტატორობა დაიწყო. მას მიჰყავდა თავის კლუბ „ფლამენგოს“ მატჩი რიო-დე-ჟანეიროს პირველობაზე „მადურეირასთან“.

● „კრუზეიროს“ და ბრაზილიის ნაკრების მეკარე დიდა ამიერიდან იტალიის ჩემპიონ „მილანში“ ითამაშებს.

● რონალდოსსამედიცინოშემოწმების შემდეგ დადასტურდა, რომ მას მარცხენა ფეხის ხელახალი დაშავების გამო სერიოზული პრობლემები შეექმნა და საკმაოდ შესაძლებელია გამოტოვოს „Copa America“-ს.

● „კორინთიანსი“ იწყებს მოლაპარაკებას ორი ბრაზილიელი ფეხბურთელის: „რომას“ მცველ კაფუსა და „ლა-კორუნიას“ თავდამსხმელ ჯალმინიას უიდვის შესახებ.

● მარიო ზაგალომ 1999 წლის ბოლომდე გააგრძელა კონტრაქტი კლუბ „პორტუგეზასთან“.

„სამართლიანი თამაშის“ პრიზი ძვირფასია

შოტლანდია გახდა უეფას მიერ დაწესებული „სამართლიანი თამაშის“ პრიზის მფლობელი. ეს პრიზი კი ძვირფასია — შოტლანდიას უეფას თასზე დამატებითი ადგილი მიეკუთვნა. ამავე კრიტერიუმით არის კიდევ ორი ადგილი უეფას თასზე, პრეტენდენტი კი რვა ქვეყანაა: ინგლისი, ნორვეგია, უკრაინა, ფინეთი, ესტონეთი, დანია, შვეცია და გერმანია.

ასე ამხნევებენ ქვეყნებს, სადაც ყველაზე ნაკლები უხეშობა და ყველაზე უფრო პატიოსანი თამაშია.

ანგისოვიჩმა ჩაიბარა „ქემჩუქინა“

ვიქტორ ანტიხოვიჩს, რომელმაც ამ დღეებში სოჭის „უემჩუენა“ ჩაიბარა, კლუბის დირექტორატმა მხოლოდ ერთი დავალება მისცა — კლუბს უმაღლეს დივიზიონში ადგილი შეუნარჩუნოს.

— თქვენ შემადგენლობის გაძლიერებას შეეცდებით.

— ამას ჩემს ადგილზე ნებისმიერი მწვრთნელი გააკეთებდა. სირთულე ისაა, რომ რეგლამენტით კლუბს სეზონში 50 ფეხბურთელის ყოლა შეუძლია. ჩემმა წინამორბედებმა სიაში უკვე შეიყვანეს 45. ისე, რომ...

ელჩის სისწრაფით

ცნობილმა უკრაინელმა სპეციალისტმა ევგენი კუჩერევსკიმ ვერც კი მოასწრო ორი რიგითი დამარცხების შემდეგ ტულის „არსენალთან“ გამოთხოვება (მას ადანაშაულებდნენ, რომ ვერ ახერხებს კლუბის უმაღლეს დივიზიონში გაყვანას), რომ იგი მყისვე მიიწვია ელისტის „ურალანმა“. როგორც ყალმუხეთის პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა განაცხადა, ძალიან აფასებდა მწვრთნელ პაველ იაკოვენკოს, მაგრამ იგი სერიოზულად გახდა (გულით) ავად.

ყველა შეჯიბრებიდან გარიცხონ!

ევროკავშირის ხელმძღვანელობამ, რომლის შტაბბინაც ბრიუსელშია, თხოვნით მიმართა უეფას, ყველა ევროპული ტურნირიდან გარიცხონ იუგოსლავიის გუნდები.

სიახლე „ჩელსიში“

როგორც „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ განაცხადა, იგი ასაკის გამო აღარ აპირებს თამაშს და გუნდს გაუძღვება როგორც მწვრთნელი. ამავე დროს, მას სურს იყოდოს მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი ედგარი, რომელიც იჯარით „მალაგაში“ თამაშობდა და მასში 3,5 მილიონ დოლარს გადაიხდის.

ინგლისის ღეიბორისებული პარტია...

...წინადადებას აყენებს ქვეყნის წარმომადგენლად ევროპარლამენტში დაინიშნოს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი. ლეიბორისტული პარტიის ლიდერ, ინგლისის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლეირის აზრით, „ფერგიუსონი იდეალური ფიგურაა, რომელსაც საუოველთაო სახალხო მხარდაჭერა ექნება“.

ორი ხორვატი შეემატება

როგორც ზაგრების გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი“ იუწყება, ახალი სეზონიდან ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ ორი ხორვატი: მცველი იგორ შტომაცი და განთქმული თავდამსხმელი დავორ შუკერი შეემატება.

საღაურსა საღ ნაიყვან

ზაგრების „კროაციის“ (ყოფილი „დინამოს“) მენეჯერად დაინიშნა წარსულში ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი და მწვრთნელი ოსვალდო არდილესი.

ვიდრე დამნაშავეებს არ აღმოაჩენენ

უმაგალითო რამ მოხდა პარაგვაიში. მოსამართლის გადაწყვეტილებით კლუბ „სერო პორტენიოს“ ქომაგთა უზარმაზარი ჯგუფის 5 არასრულწლოვანი და 24 მოზრდილი წევრი მძევლების სახით ციხეში იჯდება მანამდე, სანამ არ გამოჩნდებიან ამ კლუბის დარბევაში ეჭვმიტანილები. სწორედ ამ სტადიონზე უნდა ჩატარდეს „Copa America“-ს მატჩები.

ბლაჟევიჩის პოლიტიკური ამბიციები

რადიკალური შეხედულებებით ხორვატიის ეროვნული ნაკრების ცნობილმა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა განაცხადა, რომ მუისვე დატოვებს ქვეყანას, თუკი ძალაუფლება მემარცხენე პარტიის — ხორვატიის დემოკრატიული კავშირის ხელში აღმოჩნდება.

არა, „ბაიერნს“ არ დატოვებს

„ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა დაარწმუნა 38 წლის ვეტერანი ლოთარ მათეუსი კლუბში დარჩეს. საქმე ის არის, რომ „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების კაპიტანს მიწვევა ჰქონდა ამერიკული ლიგის კლუბ „ნიუ-იორკ — ნიუ ჯერსიდან“.

აკაპორი „პოლუსბურგში“ გადავიდა

30 წლის ნიგერიელი თავდამსხმელი ჯონათან აკპობორი „შტუტგარტიდან“ „ვოლფსბურგში“ გადავიდა. ადრე კი, როგორც ცნობილია. „შტუტგარტმა“ ცნობილი თავდამსხმელი ფრედი ბობოიჩი დაკარგა, რომელიც ახლა დორტმუნდის „ბორუსიაში“ გამოდის.

● **ბიორგი დემეტრაძემ** ავტოავარიის შედეგად მუხლი დაიზიანა, მაგრამ უკვე შეუდგა ვარჯიშს და მალე გამოვა საფეხბურთო მინდორზე სათამაშოდ.

● **ნოვოსიბირსკის** „ჩკალოვეც“ თითქმის ნახევარი გუნდი ქართველებითაა დაკომპლექტებული — მეგრელაძე, მანაგაძე, ნაჭყებია, წიქარიშვილი... 43 წლის მეგრელაძე ნოვოსიბირსკელთა კერპი გახდა. „ლუჩთან“ მატჩში მან ბოლო 8 წუთი გაატარა მინდორზე და ჩინებული კომბინაციით ორი გოლი გაატანინა თავისიანებს.

● **ირაკლი გემაზაშვილმა** — თბილისის ყოფილმა ფეხბურთელმა ელისტის „ურალანი“ მიატოვა და შინ დაბრუნდა. მიზეზი კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობაა.

● **უეფამ** გამოაქვეყნა „ევრო-200“-ის მომდევნო მატჩებში დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელთა სია. მათ შორის არიან: სქოულზი (ინგლისი), ილიე (რუმინეთი), შვარცი (შვედეთი), ქელინსკი (პოლონეთი), ტიტოვი და მოსტოვოი (რუსეთი)...

● **მოსკოვის** ლოკომოტიველი ნიგმატულინი, შეიძლება „ლაციოში“ შეიძინოს. კლუბებს შორის უკვე დაიწყო მოლაპარაკება.

● **რუსეთელი** ივანოვი, რომელიც ისრაელის „მაკაბში“ (გერცლია) თამაშობს, მალე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნის ამავე სახელწოდების მეორე გუნდში — ხაიფის „მაკაბში“, მეორე რუსეთელი კოსოლაპოვი კი კონტრაქტს გააგრძელებს თელ-ავივის „მაკაბთან“.

● **„ბარსელონა“** აპირებს შეიძინოს „სელტას“ და ისრაელის ნაკრების წევრი ხაიმ რევივო. ეს ფეხბურთელი 12,8 მილიონადაა შეფასებული. თავად რევივო თვლის, რომ ეს გარიგება მისთვის დიდი სიურპრიზი არ იქნება.

● **მილანის** „ინტერში“ რონალდოს გვერდით სულ მალე ითამაშებს „ლაციოს“ ფორვარდი ვიერი. საუკუნის გარიგება შედგა — „ინტერმა“ დაასწრო „იუვენტუსს“ და ვიერში 50 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა.

● **„ბაიერნმა“** კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი სურვილი „რომადან“ შეიძინოს ბრაზილიელი ნახევარმცველი სერჟიო. ვარაუდობენ სამწლიან კონტრაქტს. „ბაიერნი“ ამ ფეხბურთელში 15 მილიონ გერმანულ მარკას სთავაზობს „რომას“.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეზიდები

I ჯგუფი

შვეიცარია – იტალია 0-0
უელსი – დანია 0-2
0-1. ტომასონი (83), 0-2. ტოფტინგი (90)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იტალია	6	4	2	0	11-2	14
დანია	6	2	2	2	6-5	8
შვეიცარია	5	2	2	1	4-3	8
უელსი	6	2	0	4	5-13	6
ბელარუსი	5	0	2	3	2-5	2

II ჯგუფი

ალბანეთი – სლოვენია 0-1
ზახოვიჩი (26 პ)
საბერძნეთი – ლატვია 1-2
0-1. ვერპაკოვსკისი (26), 1-1 ნინიადისი (39 პ), 1-2. ზემლინსკი (90 პ)

ნორვეგია	7	5	1	1	14-8	16
სლოვენია	6	3	2	1	8-6	11
ლატვია	7	3	2	2	7-5	11
საბერძნეთი	7	2	3	2	8-7	9
საქართველო	7	1	1	5	4-13	4
ალბანეთი	6	0	3	3	3-6	3

III ჯგუფი

მოლდოვა – ფინეთი 0-0

გერმანია	5	4	0	1	14-3	12
თურქეთი	5	4	0	1	11-5	12
ფინეთი	5	2	1	3	8-10	7
ჩრდ. ირლანდია	5	1	2	2	3-8	5
მოლდოვა	7	0	3	4	6-15	3

IV ჯგუფი

ანდორა – საფრანგეთი 0-1
დებეფი (85 პ)
სომხეთი – უკრაინა 0-0
რუსეთი. ისლანდია 1-0.
კარპინი (43)

უკრაინა	7	4	3	0	12-3	15
საფრანგეთი	7	4	2	1	11-6	14
რუსეთი	7	4	0	3	17-10	12
ისლანდია	7	3	3	1	7-3	12
სომხეთი	7	1	2	4	3-10	5
ანდორა	7	0	0	7	2-20	0

შენიშვნა: ჩემპიონატის VI ჯგუფში მატჩები არ გამართულა.

V ჯგუფი

ბულგარეთი – ინგლისი 1-1
0-1. შირერი (16), 1-1 მარკოვი (19)
ლუქსემბურგი – პოლონეთი 2-3
0-1. ხიდაშკა (22), 0-2. ვიშნიარეკი (45), 0-3 ივანი (68); 1-3 ბირსენსი (76), 2-3 ვანეკი (81).

შვედეთი	5	4	1	0	6-1	13
პოლონეთი	6	4	0	2	12-6	12
ინგლისი	6	2	3	1	8-4	9
ბულგარეთი	6	1	2	3	3-7	5
ლუქსემბურგი	5	0	0	5	2-13	0

VII ჯგუფი

უნგრეთი – სლოვაკეთი 0-1
ფაბუსი (65)
რუმინეთი – აზერბაიჯანი 4-0
1-0 განეა (35), 2-0. მუნტიანუ (44), 3-0 ვლადოიუ (49), 4-0. როსუ (89)
პორტუგალია – ლიხტენშტაინი 8-0
1-0. საპინტუ (28), 2-0. ჟოაო პინტუ (41), 3-0 საპინტუ (44), 4-0 ჟოაო პინტუ (60), 5-0 ჟოაო პინტუ (67), 6-0 რიტერი (69 ს.კ), 7-0. რუი კოშტა (80), 8-0. რუი კოშტა (90 პ).

პორტუგალია	7	6	0	1	27-2	18
რუმინეთი	7	5	2	0	16-1	17
სლოვაკეთი	7	3	2	2	8-4	11
უნგრეთი	7	2	2	3	11-7	8
აზერბაიჯანი	7	1	0	6	5-21	3
ლიხტენშტეინი	7	1	0	6	2-34	3

VIII ჯგუფი

იუგოსლავია – მალტა 4-1
0-1 სინადი (6), 1-1 მიატოვიჩი (33), 2-1 მილოშევიჩი (48), კოვაჩევიჩი (75), 4-1. მილოშევიჩი (88)
ირლანდია – მაკედონია 1-0
ქუინი (64)

იუგოსლავია	3	3	0	0	8-1	9
ირლანდია	4	3	0	1	8-1	9
მაკედონია	4	2	1	1	9-5	7
ხორვატია	4	2	1	1	8-6	7
მალტა	6	0	0	6	4-22	0

IX ჯგუფი

ჩეხეთი – შოტლანდია 3-2
0-1 რაჩი (31), 0-2 ჯონსტონი (63), 1-2. რეპკა (65), 2-2 კუკა (76), 3-2. კოდერი (87)
ესტონეთი – ლიტვა 1-2
0-1. ოპერი (10), 1-1 ბეზელსი (53), 1-2. მაცულავიჩუსი (56).
ფარერები – ბოსნია 2-2.
0-1. ბოდიჩი (13), 1-1, 2-1. არგე (41.47), 2-2 ბოდიჩი (50).

ჩეხეთი	7	7	0	0	17-4	21
შოტლანდია	6	2	2	2	9-9	8
ბოსნია	6	2	2	2	9-10	8
ლიტვა	7	2	2	3	7-9	8
ესტონეთი	7	2	1	4	12-13	7
ფარერები	7	0	3	4	4-12	3

ევროპის უძანასკნელი ვიცე-ჩემპიონი ჩეხეთის ნაკრები გახდა პირველი გუნდი, რომელმაც თავის ჯგუფში I ადგილი გაინაღდა და იასპარეზებს ჰოლანდია-ბელგიაში.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეგორ გიგოვი: „ის ეგორკა აღარა ვარ“

მსოფლიო ჩემპიონთა ძლევით რუსებმა ერთობ მაჟორულად გაიყვერეს. ბუნებრივია, მათი ფეხბურთელების რეპუტაციაც ერთიორად გაიზარდა. „სენ დენიზე“ ძირითადად რუსეთის ეროვნულ ჩემპიონატში მოსპარეზე მოთამაშეებმა ისახელეს თავი — ზენიტელმა ალექსანდრ პანოვმა და რაღა თქმა უნდა, სპარტაკელებმა...

თითქმის უკვე ორი ათეული წელია, რაც მოსკოვის „სპარტაკი“ რუსთა სიამაყეს, საუკეთესო და პრესტიჟულ კლუბს წარმოადგენს. თაობათა ცვლა ამ გუნდში მართლაც რომ უოველთვის წარმატებით მიდის. ბოლო ახალი ტალღის საუკეთესო წარმომადგენლად კი ეგორ ტიტოვს მიიჩნევენ, რომელიც რუსი ჟურნალისტების გამოკითხვით 1998 წლის ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

ეგორ ტიტოვი თეთრ მაისურში

ეგორ ტიტოვი (დაიბადა 1976 წლის 29 მაისს მოსკოვში). „სპარტაკში“ 1992 წელს ჩაირიცხა, ხოლო დებიუტი რუსეთის ჩემპიონატში სამი წლის შემდეგ ჰქონდა და მას შემდეგ უკვე სტაბილურად გამოდის გუნდის ძირითადში. ეს ძალზე ტექნიკური, რბილი მანერით მოთამაშე გამთამაშებელი ახალგაზრდულ ნაკრებში მუისვე კი მიიწვიეს, მაგრამ ეროვნული გუნდის მაისური მხოლოდ შარშან ათ ოქტომბერს მოირგო პირველად, როცა რუსებმა ევრო-2000-ის საკვალიფიკაციო მატჩში ფრანგებს უმასპინძლეს და დამარცხდნენ 2-3.

ეგორ ტიტოვი ზედმიწევნით ორიგინალური რუსი ფეხბურთელია და მისი თანამემამულე ჟურნალისტები თუ სპეციალისტები ჭერჭერობით ვერც ერთ უოფილ რუს ფეხბურთელს ვერ ადარებენ ტიტოვს. მის დაოსტატებაში მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელის და პრეზიდენტის, იმავდროულად რუსეთის ეროვნული ნაკრების თავკაცის ოლეგ რომანცევის წვლილი ძალიან დიდია, თუმცა, თვით ტიტოვი ფეხბურთელისთვის აუცილებელი მენტალიტეტის ჩამოუალიბებაში „სპარტაკის“ საფეხბურთო სკოლის მწვრთნელ ანატოლი კოროლიოვს ემადლიერება და დასძენს: „რომ არა ეს კაცი, მე ალბათ ვარსკვლავის ავადმუოფობა დამემართებოდა, რასაც სავალალო შედეგები მოაქვს. ახლა, ვარსკვლავად თავს ნაღდად არ ვგრძნობ და უფრო დიდ წარმატებებსაც რომ მივაღწიო, ეს სენი მე არ მემუქრება“.

გთავაზობთ ინტერვიუს ნაწუვეტს ეგორ ტიტოვთან, რომელიც მას რუსმა ჟურნალისტმა კონსტანტინ ფედიანმა ჩაწოაროთვა.

● *მას შემდეგ, რაც „სპარტაკში“ დებიუტი გქონდათ, სამი წელი გავიდა. თვლით, რომ ამ ხნის განმავლობაში მკვეთრად შეიცვალეთ?*

— ალბათ კი. მე გავიზარდე, რადგან მჩქეფარე ცხოვრება მქონდა და ისევ ის ეგორკა აღარ ვარ. მაგალითად, როცა „სპარტაკის“ დუბლშემადგენლობაში გამოვდიოდი, ძალიან მიუვარდა დისკოთეკებსა თუ სხვადასხვა კლუბებში წოწიალი. ახლა კი საუვარელი ადამიანი მუავს — მეგობარი გოგონა ვერონიკა, რომელიც მაგნიტივით მიზიდავს შინისკენ. რა თქმა უნდა, ფიზიკურადაც ვგრძნობ, რომ გავიზარდე.

● *ის თუ გახსოვთ, როცა ხალხმა, ჟურნალისტებმა „აღმოგაჩინეს“?*

— ოჰ, ეს მართლაც განსაკუთრებული რამ იუო. 1995 წლის შემოდგომაზე, სეზონის მიწურულს შინ „კამაზს“ ვხვდებოდით და გავიმარჯვეთ კიდეც — 3-1. იმ დღეს ძალიან ცუდი ამინდი იუო, თანაც ჩემპიონატში უველაფერი გადაწუვეტილი გახლდათ და მატჩზე ძალიან ცოტა მაყურებელი მოვიდა. როცა თამაშის შემდეგ გასახდელიდან მამაჩემთან ერთად გამოვედი, ვიღაც გოგონა მოვიდა ჩემთან და ავტოგრაფი მთხოვა. მე ეს ძალიან გამიკვირდა, რადგან მაშინ ძირითადად „სპარტაკის“ დუბლშემადგენლობაში მიწევდა თამაში, რის გამოც ძალიან დავიბენი, მაგრამ ავტოგრაფის მიცემა მაინც მოვახერხე გოგონასათვის. მამაჩემი კი ამ დროს რაღაცნაირად, დამცინავი სახით მიუურებდა. ხოლო პირველი ინტერვიუ მაშინ ჩამომართვეს, როცა პირველად მიმიწვიეს ახალგაზრდულ ნაკრებში — ჟურნალისტთან სულ რაღაც ოცი წუთი კი ვილაპარაკე, მაგრამ ინტერვიუ გაზეთისთვის მართლაც რომ გამოვიდა, რამაც განუზომლად დიდი სიამაყის გრძნობით ამავსო — გაზეთს საქვეყნოდ ვაფრიალებდი, ვაჩვენე მშობლებს და საერთოდ, უველა ნაცნობს.

● *თქვენს შესაძლო ტრანსფერებზე რას გვეტყვით? მოარული ხმებს თუ დავუჯერებთ, რუსეთის ნომერ პირველ ფეხბურთელს „ალაქსი“, „ბარსა“ და „რეალი“ ეპატიჟებიან.*

— ამის შესახებ მე არაფერი მსმენია, პირადად ჩემთვის არავის მოუმართავს. „სპარტაკში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და კონტრაქტი მასთან კიდევ ორი წლით მაკავშირებს. ასე რომ, ჯერ არსად გადასვლას არ ვაპირებ. რომანცევი ძალიან ხშირად ხმარობს ხოლმე გამოთქმას „ზრდის პერსპექტივა“. ჰოდა, მეც ამ პერსპექტივის გამო ვრჩები „სპარტაკში“ და მიმაჩნია, რომ მხოლოდ „სპარტაკშია“ შესაძლებელი ეს. მზად ვარ არა მარტო დავრჩე რუსეთში, არამედ მას რაღაც კიდევ უფრო მეტი მივცე.

● *თქვენ ახლა პერსპექტივა აბსენთი, თუმცა მთელ რიგ გაზეთებში რუსულ ზიდანსაც კი გიწოდებენ...*

— არა! ეს გვიანდაა. „ზიდანი“ სპარტაკში უკვე გვუავს — ჩვენ ახე რომაშჩენკოს მივმართავთ, რადგან მას ისევე აქვს თავი მოქაჩლებული, როგორც ზიდანს. ახე რომ, ამაში თქვენ, ჟურნალისტებს ხელი მოგეცარათ.

მოამზადა „ლელოს“ უცხოეთის სპორტის განყოფილებამ

საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი

პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციამ სპეციალური პრემიით დააჯილდოვა არგენტინის „ველეს სარსფილდის“ განთქმული მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი. იგი „XX საუკუნის საუკეთესო პარაგვაელ ფეხბურთელად“ გამოცხადდა.

ხოსე ლუის ჩილავერტი

ცნობები არგენტინიდან

● დიეგო მარადონას ადვოკატებმა აპელაცია შეიტანეს სასამართლოში მას შემდეგ, რაც ფეხბურთელს ორწლიანი პატიმრობა მიესაჯა 1994 წლის თებერვალში პნევმატიკური იარაღით ჟურნალისტების „დახვრეტისათვის“.
● „ბოკა ხუნიორსმა“ ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა – მან ჩემპიონატის ზედიზედ 40 მატჩი წაუგებლად წარმართა.
● არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ, ამხანაგური მატჩების სერია რომ დაგეგმა, ტურნეში მონაწილეობისათვის არ გამოიძახა და დასვენების საშუალება მისცა იტალიის ჩემპიონატის მონაწილე ცნობილ ოსტატებს: ბატისტუტას, კრესპოს, სენსინის, ვერონს, ორტეგას და ალმეიდას.
● როგორც „ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ განაცხადა, მარტინ პალერმო და ვალტერ სამუელი მის კლუბში დარჩებიან, თუკი თვითონვე არ მოისურვებენ მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „რეალში“ გადასვლას.
● „ვიქტორიანო არენსესა“ და „ფეროკარილ მიდლანდის“ შეხვედრაში, რომლებიც არგენტინის „სერია C“-ში თამაშობენ, საგანგებო რამ მოხდა. „ვიქტორიანო არენსე“ წინ იყო – 3-1 და გამარჯვების შემთხვევაში „სერია B“-ში გადადიოდა. ამასობაში „ვიქტორიანოს“ მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაში მინდორზე შეიჭრა და „ფეროკარილ მიდლანდის“ მეკარე მძლავრი დარტყმით ნოკაუტში ჩააგდო. ამ ინციდენტის შემდეგ მსაჯმა შეწყვიტა მატჩი, ხოლო მეკარე ტვინის შერყევით საავადმყოფოში მოათავსეს.
● „ველეს სარსფილდის“ მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტმა განაცხადა, რომ არგენტინაში 2002 წლამდე, ე.ი. „ველესთან“ მისი კონტრაქტის გასვლამდე ითამაშებს.

მეკარის კიდევ ერთი გოლი

მედელინის „ინდეპენდიენტეს“ ცნობილმა მეკარემ რენე იგიტამ კოლუმბიის ჩემპიონატში უკვე მეორე გოლი გაიტანა. მან ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

ანტიქათოლიკური ლოზუნგებისთვის

„გლაზგო რეინჯერსის“ ვიცე-პრეზიდენტი დონალდ ფიდლეი გადადგა. ამის მიზეზი გახდა პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შოტლანდიის თასის ფინალში „გლაზგო რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ შეხვედრაში ფიდლეი ანტიკათოლიკურ ლოზუნგებს წამოიყვირებდა ხოლმე. „სელტიკს“, როგორც ცნობილია, კათოლიკე გულშემატკივრების უზარმაზარი აუდიტორია ჰყავს.

კაპელო ზემანის ნაცვლად

ამიერიდან „რომას“ განთქმული მწვრთნელი ფაბიო კაპელო ჩაუდგება სათავეში, რომელიც მთელი წლის განმავლობაში არსად მუშაობდა.

კაპელოს დანიშვნის შესახებ ოფიციალური განცხადება „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სანსიმ გააკეთა. იგი ესაუბრა ჩეხ სპეციალისტ ზდენეკ ზემანს, რომელიც ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „რომას“ ხელმძღვანელობდა.

აი, რა განაცხადა თვით ზემანმა:

— გადადგომა ჩემთვის მოულოდნელი არა უოფილა. ამ დღეებში ვესაუბრე მოთამაშეებს, ავუხსენი სიტუაცია.

არის ცნობა, რომ ზემანი უმუშევარი არ დარჩება. მან მიიღო წინადადება „უდინეზესაგან“ სათავეში ჩაუდგეს ამ კლუბს. სხვა ცნობით, ჩეხი შეიძლება „ბოლონიამაც“ მიიწვიოს.

როცა ჭკუას ვერ სწავლობს

პოლ გასკოინი პორტუგალიას ეწვია, სადაც ვოკალურ ჯგუფ „ირონ მაიდენის“ წევრ სტივ ჰარისთან ერთად მონაწილეობდა... გრანდიოზულ ღრეობაში! ეს ორი ალკოჰოლის მოუვარული 13 (!) საათის განმავლობაში სვამდა არუისაგან დამზადებულ კოქტეილებს.

„გალათასარაი“ – მეცამეტედ!

მეცამეტედ მოიპოვა თურქეთის ჩემპიონობა სტამბოლის „გალათასარაიმ“, მას შემდეგ, რაც ფრედ ითამაშა „გაზიანტეპსპორთან“. ახალმა ჩემპიონმა 78 ქულა მოაგროვა და ქულით გაუსწრო სტამბოლის „ბეშიქთაშს“.

საზღვარგარეთის ფეხბურთის

რა ხდება ქვეყანაზე

„მე რა მეფე ვიქნებოდი...“

კარგა ხანია, რაც ესპანეთის მეფე, „ფორმულა-1“-ის ტრფიალი გახლავთ. განსაკუთრებულ ყურადღებას მონარქი ხუან კარლოსი ამ რბოლისადმი „გრან-პრი ესპანეთის“ ეტაპისადმი იჩენს, გამონაკლისი არც ახლანდელი რბოლა ყოფილა. თუმცა ამჯერად იგი „ძალიან მნიშვნელოვანი პერსონის“ კი არა, ცნობილი ორადგილიანი „მაკლარენის“ მგზავრის როლში აღმოჩნდა, მანქანის საჭეს კი ყოფილი პილოტი მარტინ ბრანდლი უჯდა.

ამ შესანიშნავი ძლიერი მანქანით რომ გაისეირნო, სამედიცინო შემოწმებაა საჭირო. ამიტომ პროფესორ სიდ უოტკინსის ნებართვის შემდეგ გამოეწყო ესპანეთის მეფე საგანგებოდ მორგებულ საბრძოლო კომბინიზონსა და რბოლის ჩაფხუტში, რომელსაც ეწერა „ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი“. მეფისთვის ამ ორადგილიან მანქანას ისევე საგანგებოდ ამზადებდნენ, როგორც ნამდვილ სარბოლო „მაკლარენს“ „გრან-პრისათვის“.

საუბარი რბოლის შემდეგ (მარცხნიდან): ბრანდლი, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონი მიკა ჰაკინენი

ინგლისელი პილოტიც საჩვენებელ მგზავრობას მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა: ნამდვილი სტარტის იმიტირებით, შემდეგ კი საათში 300 კილომეტრამდე სიჩქარით დაარტყა ორი წრე.

– მგონი, მას (მეფეს) ნამდვილად მოეწონა რბოლა. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ უყვარს სისწრაფე. უნდა გამოვტყდე, ძალიან ვღელავდი – თქვა მარტინმა.

„ხომ არ დაუბრუნდებიან ძველ სისტემას?“

გამოჩენილ დიდოსტატ ბორის გელფანდს ამჟამად მსოფლიოში მეშვიდე ადგილი უკავია პროფესიონალ მოჭადრაკეთა შორის. ნოემბრამდე იგი მინსკში ცხოვრობდა და ბელარუსის სახელით გამოდიოდა, შემდეგ ისრაელის მოქალაქე გახდა. აი, საინტერესო ნაწყვეტები მისი ინტერვიუდან, რომელიც გერმანულმა ყურნალმა „როხადემ“ გამოაქვეყნა.

● ***ბორის, თქვენ კარგა ხანია არსად არ გითამაშიათ?***

— დიახ, პოლიანიცა ზდრუის (აკიბა რუბინშტეინის მემორიალი) შემდეგ, რომელიც 1998 წლის აგვისტოში ჩატარდა, მხოლოდ ცოტაოდენი პარტიები ვითამაშე საკლუბო ტურნირებში. ეს კი აშკარად არასაკმარისი პრაქტიკაა.

● ***ახალი სეკუნდანტი გყავთ.***

— დიახ, მინსკელი იური შულმანი. ისე კი, ძველი ნაცნობები ვართ და უკვე ექვსი წელია ერთად ვაანალიზებთ პარტიებს.

● ***რას იტყვით მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ ლას-ვეგასში, რომელიც ამდენჯერ გადაიდო? რას იტყვით ფიდეში შექმნილ სიტუაციაზე?***

— ფიდე ქაოტურად მუშაობს. უკვე ორი წელია ხან ერთს ამბობენ და ხან მეორეს. ჯერ თითქოს გადაწყვიტეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო, შემდეგ მისი გამართვა ყოველწლიური გახადეს. საპრიზო ფონდიც შეამცირეს. ასე არ გამოვა! უნდა შეასრულონ, რასაც დაგვპირდნენ.

● ***როგორ ფიქრობთ, ხომ არ დაუბრუნდებიან ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიო პირველობის გათამაშების ძველ სისტემას, რომელიც დიდი მატჩებით მთავრდებოდა?***

— ამის წარმოდგენა ძნელია. კასპაროვის სხვადასხვა ცდაც მარცხით სრულდება, მით უმეტეს, თუ მას ფინანსური ბაზისი არა აქვს. იგი აცხადებს: „მსოფლიო ჩემპიონატის მატჩს შიროვთან ვთამაშობ“. შემდეგ შიროვი ანანდით იცვლება. უველაფერი ეს სამწუხაროა.

● ***შემოდგომიდან ისრაელში გადასახლდით, რატომ?***

— 1998 წლის ნოემბრიდან ისრაელში ვცხოვრობ, სადაც გაცილებით უფრო მომწონს ყოფნა, ვიდრე ჩემს მშობლიურ მინსკში. ისე კი, ისრაელში ადრეც ბევრჯერ ვუფიქრებივარ და სათანადო შთაბეჭდილებაც შემექმნა.

● ***თქვენს გადაწყვეტილებაში ბუნებრივმა პირობებმაც ხომ არ შეასრულა როლი?***

— დიახ, ამ რეგიონში ძალიან სასიამოვნო ტემპერატურაა. მართალია, არასოდეს გამომიცდია ცხელ ზაფხულში ცხოვრება. ვნახოთ, როგორია იგი. შეიძლება ივლის-აგვისტოში შუა ევროპაში „გაქცევა“ მოვიხდეს.

● ***სად ცხოვრობთ კონკრეტულად?***

— რიშონ-ლე-სიონში. იგი ქვეყნის ცენტრში მდებარეობს და საჭადრაკო ქალაქად ითვლება. აქ ბევრი დიდოსტატი ცხოვრობს, მაგალითად ლევ ფშახისი და ბორის ალტერმანი. სოფია პოლგარი და იონა ქოსაშვილი (დიდოსტატი და ექიმი) ქორწინების შემდეგ სწორედ ამ ქალაქში დასახლდნენ.

● ***ისე რომ, ამიერიდან ისრაელის სახელით ითამაშებთ?***

— დიახ, კონკრეტულად სად? ეტაპობა, ევროპის გუნდურ პირველობაზე (ბათუმში). გაისად მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც სტამბოლში უნდა გაიმართოს.

ბოიკოტი ჩემპიონატის წინ

ასეთი შილიფი შემადგენლობით, რომლის ამარა დარჩა კონტინენტის უძლიერეს ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი, საეჭვოა, რომ მან რაიმე გააწყოს ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 21 ივნისს დაიწყება საფრანგეთში. საქმე ისაა, რომ, ერთბაშად რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ უარი განაცხადა „ევროპა-99“-ის ფინალურ ტურნირში მონაწილეობაზე. „პანათინაიკოსის“ ფორვარდმა დინო რაჯამ და „ზადარის“ ცენტრმა ემილიო კოვაჩიჩმა ტრავმები მოიმიზეზეს, „ოლიმპიაკოსის“ თავდამსხმელმა არიან კომაზეცმა კი განაცხადა – სათანადო სპორტულ ფორმაში არ ვარო. იგი თვლის, რომ ვერ გაუძლებს სრული დატვირთვით ჩემპიონატისათვის მზადებას. ამასთან, ფეხის ტრავმაც აწუხებს.

ნბა-ს კლუბ „ლოს-ანჯელეს კლიპერსის“ ცენტრი სტოიან ვრანკოვიჩი კი ამბობს, რომ მზადაა გუნდის დასახმარებლად, მაგრამ... მხოლოდ როგორც მწვრთნელ-კონსულტანტი. დაბოლოს, ცენტრი უან ტაბაკის წელის ტკივილის მიზეზს იკვლევენ იტალიის ქალაქ ტრევიზოში და შესაძლოა ისიც გამოაკლდეს ევროპის ჩემპიონატს.

ხორვატიის მთავარი ვარსკვლავი – ნბა-ს სამგზის ჩემპიონი „ჩიკაგო ბულზის“ მოთამაშე ტონი კუკოჩი კი სულ-სალამათად გრძნობს თავს და შეუერთდება გუნდს.

* * *

ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტის ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლოლო საინსმა საფრანგეთში გამგზავრების კანდიდატთა სია 15 მოთამაშემდე დაიყვანა.

ფოთმინება და საზღაური

1969 წლის აპრილში ფეხბურთში ინგლისის თასის გათამაშების ფინალის მოახლოებასთან დაკავშირებით გაზეთებმა საკმაოდ კურიოზული შემთხვევა გამოაქვეყნეს. ავსტრალიის ქალაქ პერტიდან გადამწყვეტ მატჩს უნდა დასწრებოდა „ლიდს იუნაიტედის“ ძველი გულშემატკივარი, 79 წლის გარი დენერდეილი. თავის დროზე იგი ძალიან ახლოს ყოფილა კლუბის დირექტორთან, რომელიც შეპირებია მას ფინალის ბილეთს თუკი ოდესმე „ლიდს“ ეღირსება ასეთი პატივი. ყველაფერი ეს 1940 წელს მომხდარა, მაგრამ დაპირება დირექტორს არ დავიწყებია, მიუხედავად ხანდაზმულობისა.

როგორც კი გაირკვა, რომ კლუბი ფინალისტი გახდა, დაიწყო ძველი ქომაგის ძებნა საგაზეთო განცხადებებით. აღმოჩნდა, რომ იგი ომის დროს ავსტრალიაში ყოფილა ემიგრირებული. ჰოდა, მას იქ მიართვეს მატჩის ბილეთი და სამგზავრო თანხა.

ასე დაასაჩუქრეს დენერდეილი მოთმინებისათვის.

მნიშვნელოვანი სპორტული ბადეები

11 ივნისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ალპინიზმი. ქართველები ევერესტზე (23.05), ***ობერა.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ბმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის თასის ნახევარფინალი (13.20, 17.20), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (15.30, 19.15, 23.35). ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.55, 23.25), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (3.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (13.30), საერთაშორისო ფეხბურთი (6.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (13.30), იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი: საფრანგეთი – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (22.00), ბრაზილია – მექსიკა (23.30). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30).

12 ივნისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. მანუჩარ მაჩაიძე-50 (19.45), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.35), ***ობერა.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ბმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (13.55, 17.25, 19.25). 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (21.55). ესპანეთის ჩემპიონატი (23.55). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (2.30, 13.00, 15.30), ფეხბურთი: ევროპის ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა (15.30), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: ავსტრია – ისრაელი (23.00). ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), ფეხბურთი: იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი. პორტუგალია – პოლანდია (21.00).

13 ივნისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. უეფას რეგიონთა თასის პირველი გათამაშება: საქართველო – რუსეთი (16.30), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30), ***ობერა.*** ბურთი და მოედანი (8.55), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (13.15), მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის ფინალური მატჩი (14.55), ესპანეთის ჩემპიონატი (22.25), ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (22.00). ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (21.25, 23.25). ***ESPN.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: უნგრეთი – რუმინეთი (4.30), ხორვატია – მაკედონია (9.00), ისლანდია – რუსეთი (11.00, 22.00), კალათბურთი. ნბა (0.00, 0.30, 3.00 – ასოციაციის ფინალები).

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გია კაჭახიძეს სიძის — დის მეუღლის გარდაცვალების გამო

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი

(სოფ. კარდანახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ე[5]! – 2. კ:e5X. 1. ...კc7 2. კx5X.
1. ...g2 2. ფe2X. 1. ...ე:e4 2. ფf3X.
1. ...ფc6 2. ე:d5X. 1. ...e2 2. ლd2X.

თარაზულად: 1. ფეხბურთში 1978 წ. მსოფლიო ჩემპიონი, თავდამსხმელი, 12. იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მცველი, 1966 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 13. იტალიის ნაკრებისა და „მილანის“ ყოფილი კაპიტანი *(ფოტო)*, 14. ბრემენის „ვერდერის“ ყოფილი ფეხბურთელი, 15. ნორვეგიის ნაკრებისა და „მანჩესტერის“ ფეხბურთელი, 16. ფეხბურთში 1966 წ. მსოფლიო ჩემპიონი, 17. იტალიის საფეხბურთო ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ კაპიტანი, 1970 წ. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 18. ფეხბურთში 1966 წ. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 20. იტალიის ფეხბურთელთა კლუბი, 22. 1978 წ. ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 25. დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელი *(ფოტო)*, 26. ფეხბურთში 1966 წ. მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა, 27. „ბარსელონას“ ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 28. ...ოფი, 30. „ლივერპულის“ ფეხბურთელი, 32. „იუვენტუსის“ ფეხბურთელი, მცველი, 35. ჯარიმა კალათბურთში, 37. იტალიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 38. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი, 39. ფეხბურთში 1930 წ. მსოფლიოს ჩემპიონი, თავდამსხმელი, 41. „აიაქსის“ ფეხბურთელი, 42. „არსენალის“ ფეხბურთელი, 48. „საკრამენტო კინგზის“ კალათბურთელი, 49. ნჰლ-ის ბოლო ორი წლის სტენლის თასის მფლობელი გუნდი, 51. კანადელი მძლეოსანი, სპრინტერი, 52. საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მცველი, 54. იუგოსლავიის ფეხბურთელთა გუნდი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეთოქე უეფას თასზე, 55. მატჩის შედეგი, 56. „ბარსელონას“ ყოფილი ფეხბურთელი, 57. შოტლანდიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, 58. ფეხბურთში 1974 წ. ბრინჯაოს პრიზიორის პოლონეთის ნაკრების კაპიტანი, 59. „ბაიერნის“ ფეხბურთელი, თავდამსხმელი.

ვერტიკალად: 1. ცნობილი იტალიელი მწვრთნელი ფეხბურთში, 2. ავსტრიის ნაკრების ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, 3. „ლივერპულის“ ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 4. იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების წევრი, 5. ფრანგი მძლეოსანი, მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი 110 მ. თარჯრბენში, 6. პორტუგალიის საფეხბურთო გუნდი, 7. ბულგარეთის საფეხბურთო გუნდი, 8. 1974 წ. ჰოლანდიის ნაკრებისა და „აიაქსის“ ფეხბურთელი, 9. „ლაციოს“ ჩილელი ფეხბურთელი, 10. პორტუგალიის ნაკრებისა და „ბენფიკას“ ყოფილი ფეხბურთელი, 11. ფეხბურთში 1958 წ. მსოფლიო ჩემპიონი, ნახევარმცველი, 18. შვეიცის ნაკრების ლეგენდარული ფეხბურთელი, 19. საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 20. საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კონსულტანტი, 21. „მილანის“ მეკარე, 22. 1972 წ. კანადის პროფესიონალ ჰოკეისტთა ნაკრების თავდამსხმელი, 23. ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი, 24. ჩრდ. ირლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, მცველი, 26. საქართველოს კალათბურთელთა გუნდი, 29. ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ფეხბურთში, 31. მადრიდის „რეალის“ მეკარე, 33. იტალიელი ფეხბურთელი, თამაშობდა ნიუ-იორკის „ჯოსმოსში“ პელესთან ერთად, 34. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 35. ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი, 1982-1986 წ.წ. მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე *(ფოტო)*, 36. გია გურულის ყოფილი გუნდი, 38. არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი, 40. ბრაზილიის ნაკრებისა და „პსჟ“-ს ყოფილი ფეხბურთელი, 43. მფრინავი ჰოლანდიელი, 44. შვეიცარიის ფეხბურთელთა ნაკრების ნახევარმცველი, 45. „ჰამბურგის“ განელი ფეხბურთელი, 46. საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ მთ. მწვრთნელი, 47. 80-იანი წლების გფრ-ს ფეხბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი, 50. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი, მცველი, 53. ნჰლ-ს ყველა დროის საუკეთესო მცველი.

შეადგინა ალეკო ლეჟავამ



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ჩოჩიშვილი, 6. დერბი, 8. ღი, 9. სუმო, 10. ინძაგი, 13. ჩოხა, 14. ბილიარდი, 16. ჟორდანია, 17. პილოტი, 18. ფილატოვი, 22. როქი, 23. არზიანი, 25. მარადონა, 27. კიგანი, 28. ვეა, 29. სამპრასი; **ვერტიკალად:** 1. ზიკო, 2. ტირი, 3. მელიქიშვილი, 4. ბილი, 5. ჩოსიჩი, 7. „ზარია“, 11. სტეფანია, 12. ხრიდოლი, 15. კარტოზია, 19. „სჭური“, 20. რინგი, 21. ფლანგი, 22. რამსეი, 24. ანკესი, 26. ორმო.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, ჭ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წიწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონიძე